



საოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი "გამოდის ყოველ კვირა დღს  
 № 50 დეკემბერი 1 1896 წ. № 50

**შინაარსი:** ჩვენებური ღვინოების უწყსოთ ვაჭრობის შესახებ, შ. ი. ვაჩნაძე-სა. — სხვა-და-სხვა ამბავი. — „კვალის“ კორესპონდენციები. — ბიბლიოგრაფიული შენიშვნა დ. ალბანელისა. — ბედა-პეშტი ე-კოსი. — ორი მგოსანი, ლექსი თ. რაჭიკაშვილისა. — ქართული თეატრი (ერიელ-აკოსტა), ნომლეღისა. — შენიშვნა ი. პ. კაკაბაძისა. — უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში, (შემდეგი) საზღვარგარეთელისა. — წერილი რედაქციის მიმართ თ. შთაფრიშვილისა. — საქველ-მოქმედო საქმე და განცხადებები.

საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „ს ვ ა ლ ი“

გამოვა 1897 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბასამდე

გაზეთი წლიურათ ღირს გაუზღვენელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგ აენელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუზღვენელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამშაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში — არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возле кадетского корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის, ე. ბეჟანეიშვილის, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლალიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში. — ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში. — განჯაში: ალ. მიქაბერიძეს. — ფოთში: მიხეილ თურქიას და ი. კახრიძეს. — მისაილაგაში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას. — თიანეთში: ივ. ჩიბალაიშვილს. — გორში: არსენ კალანდაძეს. — ყვირილაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მაღაზიაში. — სახსრეში: ყარ. ჩხეიძეს.



### რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ .

ყველა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ასევე წელისთვის სელის მოწერის წინეთ ჰპირდებიან გამომცემის გამომცემის სობას გარეკნივ და შინაწისთ, ზოგი კი საჩუქარსაც (პრემიას) აღუთქვამს, მაგრამ ზოგჯერ თავიანთ სელთ არ არის მისი ასრულება სხვა და სხვა მიზეზების გამო. ჩვენ ვაუწყებთ „კვალის“ მკითხველებს, რომ რედაქციას მართლაც წრეულს დაუგვიანდეს პრემიის დაბრუნება, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ისმარს პირ ნათლათ გამოვიდეს სელის მომწერლებთა წინაშე.

გაზეთ „კვალის“ პრემიის გაფართოებაზე უკვე დართულია ნება და ამით გაზეთს უფლება და საშუალება მიეცა, სრული ყოველ დღიურ საზოგადოებრივ და სალიტერატურო გაზეთის მგზავსათ, მსჯელობა იქონიოს რეგორც წრეთისა და საზღვარ-გარეთის ცხოვრებისა და პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე ჩვენი ცხოვრების დღიურ საჭირო-ბორტო განმარტება.

წელსაც ყველა თანამშრომელმა აღვივებებს თავისი კალმის ნაწარმოების მოწოდება. რაც შეეძლება გარეკნივ გამომცემის სობას, რედაქცია ღონისძიებისამებრ აქრებს ყურადღებას: ჩვენ ვიბრებთ კლასიკებს ყოველთვის ღონივრულად, პეტრეწრევიდან და ასევე დაბრებული გვაქვს შტუტგარდიდან, სოლო თბილისში შექმნილებული სეი-რინი ნასატების დაბრებულა, რადგან ჩვენი ცხოვრების მტრულნი მსატრები თითქმის არა გვაქვს და ლიტერატურა-საც სშირათ უფუჭდება სურათები.

### ჩვენებური ღვინოების უწყისოთ ვაჭრობის შესახებ.

**წ**აზოგადოთ, როგორც ჩვენში, აგრეთვე მთელ რუსეთშიაც დიდი ხანია რაც ჩივიან, რომ ბევრ გვარ საქონლის ვაჭრობ-აღებ-მიცე-მობა ჯერაც ისევე გაიძვირა და მატყუარა ჩარჩ მოვა-კრებების ხელშია ჩაყარნილი და ეს ვაჭრებები თავიანთ ჯიბის გასასუქებლათ, უწყისო და უკანონო ვაჭრობით ათი-ათას გვარს სიყალბეს ახერხებენ მუშ-ტრების მოსატყუებლათ და სხ... სხვებ-სა კი რა მოგახსენოთ და როგორც ჩვენებური ღვინოთ მოვაკ-რებები ყალბობენ უსინდისოთ, ამისგან კი რმერთ-მა ყველა დაიფაროს. კაცი ვერ მოთვლის ყოველ იმ ოსტატურ ყალბობას და ხერხს, რასაც უმეტესი წილი მათგანი ხმარობს. სხვათა შორის, ავილოთ მაგალითათ თუნდა კახური ღვინო. ვინ არ იცის, თუ რა უსამართლოთ ექცევიან მის სახელს ეს მატყუარა ვაჭრები. საითაც მიხედ მოხერხდაეს კაცი, ჩვენში თუ რუსეთში, ყველგან, ქალაქებში თუ დაბა სოფლებ-ში სავსეა რომელიმე წხრის ღვინოების ვაჭრობით და საღანაც უნდა იყოს მოტანილი, მაინც ყველა ამ საეჭრო ადგილებს, სარდაფებს, დუქნებს და ტრახ-ტირებს ერთნაირა შემდეგი ზეწარწერები აქეთ: „На-туральное Кахетинское Вино“ და, აბა, ახლა შებძან-დით რომელსამე ამათგანში კახური ღვინის საყიდ-ლათ; თქვენც არ მომიკვდეთ, რომ ათასში ერთგან ვერ იპოვით კახურ ღვინის წყეთს, ბევრ მათგანს არამც თუ გასაყიდათ, გვირთაც არ უნახავთ კა-

ხური ღვინო. განა კახეთში იმდენი ღვინო მოდის, რომ სუყველგან შეიძლებოდეს მითი ვაჭრობა? რასა-კვირეელა, ეს დაუჯერებელია (თუმცა დიდათ მოხა-რულნი ვიქნებოდით, რა იმდენს ღვინოს იძლეო-დეს კახეთი, რაც სახელი აქვს ყველგან). მაშასადამე ცხადია, რომ უმეტეს ნაწილათ ხსენებულ ვაჭრებ-თაგანი მხოლოთ კახურის სახელით ჰყიდიან მრავალ სხვა და-სხვა მხრის ღვინოებს. მაგალითათ, განჯისას, ერევნისას, კიზლიარისას, შულავრისას, რატვენისას და სხ... და, აი, ყველა ამ დაბალ ღირსების ღვინო-ებს, როგორც ზევითაცა ვთქვით, კახურ სახელს არ-ქმევენ ეს ვაჭრებები; მუშტრებსაც უინდისოთ ატყუებენ და კახეთსაც ხომ სახელს უტევენ. განა მართო ამ სახელის დარქმევას კი კმარობენ? არა, ამაზე უფრო უარესსაც ჩაღიან: ათას გვარს სხვა-და-სხვა წამლებს უშერებიან, ეთომ და, აზაგებენ, და-ბალ ღირსების ღვინოებს იმ აზრით, რომ კახურის ღვინის გემოსა და ღირსებას დაამგზავსონ, ამისათვის ზოგს ფერს აძლევენ, ზოგს სიმაგრეს უმატებენ, ზოგს ატკობენ და სხვა. ახლა სხვა-და-სხვა სიყალბეს ესეც დაუმატეთ, რომ ამ ვაჭრებებს მის დღეში კანონიერი საწყავოები არა ჰქონიათ. მაგალითათ, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ კანონიერი ერთი ვედრო 15 ბოთლი უნდა იყოს, მაგრამ, აბა მიბძანდით და გამოურწყეთ ვისმე ბოთლები. თითქმის ყველა ჰყიდის 1/18 და 1/20 ბოთლებათ და არა 1/15. ასე რომ ვინც წერილათ ბოთლობით ყიდულობს, იმას ვედ-როში ჰპარავენ 3—5 ბოთლს ვაჭრები და, აბა, წარ-მოიდგინეთ თითო ვედროში, რომ 3—5 ბოთლი



იპარონ, წელიწადში რამდენ ვერლოს გაჰყიდინან წერილათ. ყოველ ამ ზემო მოყვანილ სიყალბეს და უსინდისობას ღვევანდამდის არაეინ ყურადღებას არ აქცევს, თითქოს, ეს სულ ასე უნდა იყოსო. მა-რამ ჩვენი ვაჭრების ასეთი საქციელი იმდენათ არ გვაკვირვებს, რამდენათაც ჩვენი კახეთის ზოგიერთი მემამულე თვადიშვილების საქციელი, რომლებიც ყოველთვის იმას უნდა ჰფიქრობდნენ და ცდილობდნენ, რომ როგორმე და რითიმე, ან თვით და ან მთავ-რობის დახმარებით, რაიმე საშუალებით, ალუკრძალიონ კანონით ამ უკანონო და უსამართლო ვაჭრებს, რო-მლებიც სხვა-და-სხვა ტყუილ სახელების დარქმევით და „ფალსიფიკაციით“ სახელს უფუჭებენ მთელ კა-ხეთს და კახური ღვინოების ღირსებას. მაგრამ რას ენებათ? მიუხედავად ამისა პირიქით მრავალ ჩვენ თვადიშვილებს, თავიანთი „ფირმები“ ე. ი. სახელი და გვარი, ჩარჩ-ვაჭრებისათვის ზოგს რალაც პირობებით ვადით მიუყიდნიათ და ზოგს სამუდამოთაც. ვაჭრებსაც თავიანთი ნდობის დასა-მსახურებლათ და უმეტესათ მუშტრების მოსატყუებ-ლათ გამოუყენებიათ თვადიშვილების გვარები, არა თუ მართო სარდაფებზე, უბრალო დუქნებზე და ტრახტორებზედაც კი ჩამოუყიდნიათ და დიდი ასოე-ბით უწერიათ, ვითომ-და მათ ღვინოებსა ცყიდითო. ჩემის აზრით ეს დიდ დანაშაულათ უნდა ჩათვალოს ჩვენ კახელ თვადიშვილებს, რომლებიც რალაცა უბ-რალო გროშის სარგებლობისათვის სხვებს აძლევენ თავიანთ „ფირმებს“ და ამითი თავიანთ გვარსაც სა-ხელს უტეხენ და საზოგადოთ მთელს კახეთსაც. ამის მაგალითის მოყვანა საჭირო არც კია მკითხველისათ-ვის, ეს ისე მრავალია, რომ ყველგან შეჭხედებით ჩვენშიაც და რუსეთშიაც, მაგრამ მაინც მოვიყვან სხვათა შორის ერთ იმ მაგალითს, რომლის ნახე-მაც დიდათ ამაღლევა. მე ვახლდით, ამ რამდენისა-მე ხნის წინეთ ქ. პ—ში და ქუჩაში ვავლის დრის დაეინახე ერთი დუქანი, რომელსაც ასეთა წაწერა ჰქონდა: „Натуральное кахетинское вино Кн. Чавчавадзе“. შევედი ამ დუქანში და დამხედა ერ-თი უცნაური ტიპის კაცი, რომელიც სიმაღლით და სიგანით ერთნაირათ ჩასუქებულიყო, დიზა ვადმოვე-ლო და დათვით ქმნიანდა: მე ვკითხე: - ეს დუქანი ჰვეჭვადისა-მეთქი? — დაიხ ვახლავეთო, რა გნება-ეთო. — თვით კნიაზ ჰვეჭვადე აქ ხომ არა ბრძანდება-მეთქი? ვკითხე. — მე თითონ ვახლავართ ჰვეჭვადე, რა გნებაეთო? - მე ეს ადამიანი ავთავალიერ-ჩავთავალი-ერე თავით ბოლომდის და ეუთხარი: - არა, არა მგონი, რა ჰვეჭვადიანთ გვარში თქვენნი მგზავსი იყოს ვინ-მე-მეთქი. ჩემი ასეთი დაცინვა, როგორც შევატყე, იმას არ მოეწონა და გულ-ამაყათ მომიგო: — ვაჰ! მე

ვითომ ჰვეჭვადეებზე რითი ვარ ნაკლებიო. — მეც უთ-ხარი, ღმერთმა მათზე მეტი გვარი და სახელი მოგ-ცეს, მაგრამ შენ, რომ ჰვეჭვადე არა ხარ და იტრუვე, ეს კი ცხადია მეთქი. გულ-მოსულმა ვაჭარმა კნია-ლამ ქეას წამოავლო ხელი და შემოტევით დამიწ-ყო ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკი, — ვაჰ! შენ ვინა ხარ? ვაჰ! რა გინდა? რისთვის მოსულხარ? ღვინო გინდა იყიდე. არ გინდა, მაშ მიბძანდი. რა მოგიბარებია, რასა მთხოვე, ვაჰ! — მეც ეუთხარი: დიახ, ღვინო მი-ნდა-მეთქი. ავათა ვარ და ექიმმა წამლათ კახური ღვი-ნო მასწავლა და, თუ ვაქვს, მამა-გიცხონდა, მამყი-დე. თუნდ ჰვეჭვადისა ნუ იქნება, ოლონდ კი ნამდ-ვილი კახური იყოს, მოუნათლავი-მეთქი. — ვაჰ! მაშ მეც რომ არა მქონდეს ჰვეჭვადის ღვინო, სხვას ვი-ლას უნდა ჰქონდეს! — აბა, მაშ, ერთი ბოთლი მამ-ყიდე; რომელიც ყველაზე უკეთესი ვაქვს-მეთქი. გამიხსნა, ენახე გემოთ და თქვენ მტერს; კახური კი არა, კიზლიარის ვახლდათ, ჩინირს რომ უძა-ხიან, სწორეთ ის. მადლობა ეუთხარი პატივისცე-მისათვის და გამოვედი. შემდეგ შევიტყე, რომ ამ მედუქნის გვარო ოჰა — ებანცი კი ყოფილიყო და თა-ვის დღეში, ვგონებ, კახური ღვინით არც კი უვაჭ-რია; ის მხოლოთ ჩინირს და არაყს ჰყიდის დიდი ხა-ნია და „ფირმა“ კი, როგორც მოვახსენეთ, თ. ჰვე-ჭვადისა ჩამოუყიდნია დუქანზე და ახლა თქვენ წარ-მოიდგინეთ რამდენს ჩემისთანას მოატყუებდა მარ-ტო ეს ერთი და ამისთანები ხომ მრავალია სხვაგა-ნაც.

ამას წინეთ წავიკითხე ვაზ „Тиф. Лис“ № 196-ში: ქ. ნიქინ-ნოვეგაროდის იარმუკაში ერთი თბილისელი ვილაც არმაკ აზიზიანცი დაიჭირა იქა-ურმა აქციზის მოხელემ, რომელიც კახური ღვინის სახელით ჰყიდდა რალაც სხვა-და-სხვა ვადარეულ და შეზავებულ სხვა მხრის ღვინოებსო. მე რამ ეს წავი-კითხე, გულში გამეცინა და ვიფიქრე: ბ.ნ აქციზის ჰოხელეს ვითომდა დიდი რამ იშვიათი მაგალითი აღმოუჩენია მეთქი. აბა, სხვაგანაც მიხედ მოიხედოან და გაშინჯონ რამდენ აზიზიანციებისთანას და უურო უარესებსაც აღმოაჩენენ ათასობით, მაგრამ ვინ არის და სად არის პატრონი?

როდესაც ჩვენმა კახეთის მემამულე თვადი-შვილებმა განიზრახეს კახური ღვინოებით საამხანაგო ვაჭრობა, ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ასე ეფიქრობდით: ღვითო, ახლა კი მაინც ალუკრძალვენ ყველა იმ მატყუარა ვაჭრებს, რომლებსაც სხვისი „ფირმები“ აქეთ და ხალხს ატყუებენ სხვა-და-სხვა ყალბო გვარებით და სახელებითო. მაგრამ საუბედუ-როთ არც ეს იმედი გაცემართლდა, რადგანაც ჯერ



ისეთი ამხანაგობა ვერ დაარსდა, როგორც უნდა ყოფილიყო. დრო ამ საყურადღებო საგანს ეუშევილოთ რამე.

შაქრო ი. ჯანაძე.



სხვა-და-სხვა ამბავი.



ღეს, პირველ ქრისტეშობის თვის, სამხედრო მუზეუმის დარბაზებში დაიწყება გამოფენა სურათებისა პარიკის აკადემიის მხატვრის ი. ი. პავესკისა. რადგან ჩვენი ქვეყნის ბუნება ბევრ მასალას აძლევს მხატვრებს, ისინი უყურადღებოთ არ სტოვებენ კავკასს. გამოფენილი იქნება 50 მეტი სურათი პარიკში, კრიმში და თვით კავკასში დახატული. კარგა ხანია თბილისში სურათების გამოფენა არა ყოფილა და იმედია ჩვენი საზოგადოება ყურადღებას არ მოაკლდებს, მით უფრო რომ შემოსავლის ნახევარი არის დანიშნული მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოთ.

\* \*

ჩვენ გეწერენ სამხედრო-გარეთიდან, რომ პროფესორი შუხარდი, რომელმაც დიდი ხანია ქართულ ენის შესწავლას მიჰყო ხელი, ამჟამათ აპირებს ენაში ქართული ენის რუკის გამოკვმას განმარტებით. პრ. შუხარდის აზრით, მეგრული და სვანური ისეთივე განსაკუთრებული ენებია, როგორც ქართული. ეს აზრი მას დაუფუძნებია იმაზე, რომ ახალი მეცნიერება არაერთარ გარჩევას არ ცნობს დიალექტსა და ენას შორის. შუხარდის აზრით სვანური და მეგრული ენა შეიძლება უფრო ძველიც იყოს ქართულზე. მისი აზრით განუვითარებელ ენაში უფრო ხშირათ იხმარება ხოლმე ხმოვანი ასოები, რადგან განუვითარებელ ხალხს უხმო ასოების გამოთქმა ეძნელება, შემდეგ, რადენათაც ხალხის კულტურა წინ მიდის, იმდენათ ხმოვანი ასოების ხმარება კლებულობს, მცირდება, რადგან სამეტყველო ორგანო ხალხისა ვითარდება და უხმო ასოების გამოთქმა აღარ ეძნელება.

საქართველოს ერთი ნაწილი წინ წასულა კულტურის გზაზე და განუვითარებულა ენაც, რომელსაც დღეს ქართული ეწოდება. სამეგრელო სვანეთი კი უკან ჩამორჩენილა და მათი ენის წარმატებაც შეჩერებულა.

თუმცა ქართული, მეგრული და სვანური ყველა ერთი ძირისაგან არიან წარმომდგარნი და ერთს

ჯგუფს ეკუთვნიან, მარა მეცნიერება მაინც ვერ არეც მათ ერთმანეთში.

ის აზრი, რომ მეგრული ეთომ დამახინჯებული ქართული იყოს, შემცდარი და უსაფუძვლოა. ასეთი შეხედულობისა იყვენ გერმანიაში ამ ორმოცდაათი წლის წინათ, ე. ი. მაშინ, როცა ენათა მეცნიერება არ არსებობდა. დღეს კი მეცნიერებისაგან ცნობილია, რომ ერთი ენა მეორე ენის გადახინჯვბ-შეცვლით არ წარმოადგება.

\* \*

მალე გველირება გორის ხიდი, რადგან მის გასაკეთებლათ გადაღებული 39 ათასი მანეთი უკვე გამოუწერიათ საიდანაც ჯერ არს. ამას გარდა აპირებენ კიდევ მდინარ. ლიხვის და ფშანის ნაპირების გამაგრებას, რომ ამათი წყალობით კვლავაც არ ჩავარდნენ იმ განსაცდელში, რომელიც ჩვეულებრივ ყოველ წელს დაატყდებათ ხოლმე თავზე.

\* \*

თიონეთში, როგორც გვაუწყებს „ნოევე ობოზრენიე“ საქონლის ჭირი გაჩენილა. 20 სულში შეიღი მომკედარა.

\* \*

პრინც ოლდენბურგელებს, იმავე გაზეთის სიტყვით, აულიათ იჯარით 24 წლის ვადით სიღნაღის მახრამში 24 ათასი დლიური მიწა, სადაც ნავთის ნიშნები გამოჩენილა.

\* \*

პირველ დაწყებითი სახალხო სკოლების გასახსნელათ და შესანახავათ სავრო განათლების მინისტრს უთხოვინია სახელმწიფო საბჭოსთვის 250 ათასი მანეთი და ამის შესახებ „ნოევე ერემია“ იწერება შემდეგს:

„ეს ამბავიბუკვს გასხარეს, მცრას ამისთნა კაი საქმისთვის სამინისტროს იღიან მცირე ფული უთხოვინა. ეს 250 ათასი რომ გაჯანწილოთ მხოლოთ სავრო გუბერნიებს შორის, თითოს კრებას 6000 მან. და თითო მანკას 500 მ. ამისთანა მცირე წვლილის გამოღება სელის განათლებისთვის მცირე სარგებლობას მოიტანს. ჩვენ გვოვინა, რომ საზინა ორ მილიონ ნახევარსაც მოიპოვებს დასაწყის სწავლის გასავრკელებლათ, თუ რომ სავრო მინისტრი წადადგენს თავის მოსახრებას პირველ დაწყებითი სკოლების დაყენების შესახებ.“



\* \*

ჩვენ გაეცეთ, რომ პეტერბურღში იანერიდან გამოვა საყმაწვილო ყოველდღიურა გაზეთი.

ქართველ კაცს ეს ამბავი ძალიან უნდა უკვირდეს, რადგანაც ჩვენში თვიურ ქურნალსაც ძლიეს უდგია სული.

\* \*

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ასაღი გამოცემისი: 1) ქართული 1897 წ. კელის კალენდარი, გამოცემული გრ. ჩარკვიანის მიერ, ფასი 40 კ. 2) ფაბიოლა ანუ უწინდელი ქრისტიანები, გამოცემული უდაბურ წყაღწმადის მძობისა. (№ 4) წიგნავი სუჟათთ აჩის გამოცემული, პირველ გვერდზე კარგი ნასახით და 68 გვერდი, დიწს მსოფლით შაუწათ. ეს წიგნავი რუსულ სასაღხო გამოცემებთა შორის ითვლებს ერთ საუკეთესო საკითხვ წიგნათ. 3) ჩერქეზული გადმოცემა (სამშობლსთვის თავდადება) იური ყაზიბეგისა, რუსულიდან გადმოკეთებული ნიკ. ავალიშვილის მიერ. ეს წიგნიც შაუწათ დიწს.

\* \*

ოთხშაბათს, 27 ნოემბერს ბ. ვ. აბაშიძის საბენეფისოთ ჩვენმა დრამატული საზოგადოების დასმა წარმოადგინა დრამა „დანაშაული და სასჯელი“, გადმოკეთებული ბ. ვ. აბაშიძის მიერ და მისივე თარგმნილი ოპერეტკა „უშიშარი და გულ-მართალი რაინდი“. საზოგადოებამ აავსო დარბაზი და ჩეულებსამებრ აღდაცებითა და სახსოვარ საჩუქრებთ მიეგება მობენეფისეს. ბ. ვ. აბაშიძისაგან არჩეულ დრამას ვერ ვაქებთ: რაღაც მერთალი აზრის მერთალი სურათთა და მაკურებელს ცივათ ხედება გულს. სამასხარო-სალალობო კილოს უზომო ვრცელი მეუფება ხედა ამ დრამაში და ძირითად მ. მენტს, დამნაშავეს ტრაგიკულ ბედ-იღბალს, უშნოთ ჰვენს ჩრდილსა. პირველ მოქმედებას, დამნაშავეს გასამართლებას, მართო სიერციოთ თუ ხედება უკედაება, მასავით დაუსრულებელია, სიღრმით კი რა მოგახსენოთ. კაცს ეგონებოდა, საზოგადოების მოთმინებაა დამნაშავე და მას ამ დრამის ოთხივე მოქმედების მოსმენა მიუსაჯეს სცენაზე გამოცხადებულმა მსაჯულებმაო.

ბ. ალექ. მესხიშვილმა თავის დინჯი ახოვანი თამაშით რაკვი შესაძლებელი იყო, შო მისცა დრამას. რა უნდა ექნა, უსულო ქმნილებას სულს ხომ ვერ ჩაუდგამდა.

„სააშვიკო-სალალობო“ ოპერეტკაც ვერ იყო ბენეფისის შესაფერი. მხიარულებაც აზრიანი უნდა იყოს. აქ კი ნამდვილი მხიარულება თითქო თავის

სოროში იყო მიმალული და მხოლოთ თვის შიმველ კუდს აფანცქალეზდა ჰაერში.

მაწოდეთ ბატონებო ხალხს საკეები კეთილი და იგი შემწეობასა და თანაგრძნობას არ მოგაკლებთ.

\* \*

სოფ. ბახვიდან გეწერენ: იქაური მცხოვრებნი ძმანი დ—ძეები და მ. ჯინჭარიშვილი ერთმანეთში წახუბულან საწისქვილე წყლის თაობაზე. აზნაურ დ—ძეები იქამდის გაბრაზებულან თავის მეზობელზე, რომ ჯერ თოფი უსროლიათ და მერმე ხანჯლებითაც დაუჭრიათ საწყალი ჯინჭარიშვილი.

\* \*

„შუამავლის“ საღებ-მიცემა ამხანგაობის დროებითი კონტროლი გეთხოვს ვეუწყოთ მკითხველებს, რომ, რადგან 10 გიორგობისთვის დანიშნული ამხანგაობის მოწილეთ საგანგებო კრება არ შედგა მოწილეთა საქმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ კრება ხელმეორეთ დანიშნულია კვირას, 1 ქრისტეშობისთვის სალამოს ნ საათზე, პურღინოს სასტუმროში.

\* \*

სომსურნი თეატრი, ნოემბრის 28-ს ქ-ნ. მელოქიანცის ბენეფისი იყო. წარმოადგინეს კომედია პარიყელი ბიჭი და ორ მოქმედებანი ვოდევილი ბ-ნი საზღარიან-არე მეტიანისა: „მოდაა ქა“ ანუ „ახალი მოდის პიკნიკი ზარღიგულიანთ ბაღში“. ხსენებულ ვოდევილში არიან აწერილი ჩვენი ქალაქის ვაჭრები თავიანთ ოჯახობით. ეს ვოდევილი ჯერ მოთხრობათ იყო დაბეჭდილი „არძაგანკში“ და სომხის საზოგადოების ყურადღება მიიქცია თავისი იუმორიული ხასიათით. თეატრში ტევა არ იყო ისე ბევრი ხალხი დავსწო ამ წარმოადგენას. 1300 მან. ბილეთი ყოფილა გაყიდული. მობენეფისეს მთართვის ხუთი-ექვსი საჩუქარი.



„კეალის“ კორესპონდენციები.



ფსახეთი. შარშანდელი წელიწადი არც აუხანეთისათვის იყო ხეირიანი. მართალია, წყალიღობას ისეთი დიდი ენება არ მიუცია აუხანეთისათვის, მაგრამ, სამაგიეროთ, დიდ-თოვლიანმა



ზამთარმა კი ფრად დიდი ზარალი მოუტანა. დაუმტეტთ ამას ამ უკანასკნელი ორი წლის მოუსაველ-ობა და ამასთან სიმინდის ფასის დაცემა და აღი-ლათ მიხედვით, თუ რა გაჭირებაში ჩაეარდა აქა-ური მემამულე და გლეხ-კაცობა. ფული მართლაც, მათივე სიტყვით რომ ეთქვათ, „მთლათ დაიკარგა“, შეძლებულ ოჯახს ფულათ ერთი მანეთიც არ მოე-პოვება. გასაკვირველიც არ არის, უმთავრესათ, თი-თქმის ერთათ ერთი წყარო ფულის შესაძენათ აფხა-ზისათვის იყო სიმინდის გაყიდვა და მისი გადაზიდვა ურმებით ოჩემჩირემდის. ფუთი სიმინდი წელს შეიდ-შაურზე მეტათ არ გაყიდულა \*). ჩატანა ფუთი სი-მინდისა ოჩემჩირემდის და საზოგადოათ ზღვამდი, ცო-ტათ თუ ბევრათ დაშორებულ სოფლებიდან, ფას-ბს არა ნაკლებ ორი შაურისა. როგორც მოწმობენ გა-მოცდილი მეურნენი, ათ შაურზე ნაკლებ გაყიდვა ფუთი სიმინდისა საზარალოა მხენელ-მთესველთათვის.

„მანეთათ ძველათ ხუთი ფუთი იყო“ რომ ამბო-ბდენ, სწორეთ ის დრო დადგაო, გაიძახიან ყველანი. მერე თუ ნარჩევი, საუკეთესო სიმინდი არ იყო, ზე-დაც არ შეხედავდენო.

ცოტადენ ფულს ზოგიერთი, უფრო მთაში მცხოვრებნი, შოულობდენ თავლის და სანთლისაგან, (ცილის) მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა აფხაზებს: შარშანდელმა დიდ თოვლობამ მრავალი სკები წააქ-ცია, ფუტკარი ამოხოცა... ეპრობას ან სხვა რამე მრეწველობას აფხაზი ხომ არ მისდევს და აბა, ფული საიდან ექნება. ამავე დროს აქ (აბჟუეაში) გავრცე-და ხმა, ეითომ ამ წლის სანელმწიფო გარდასახადი ეპატიებოდეთ (მანიფესტით) მცხოვრებთ, ხალხის სინარულს საზღვარი არა ჰქონდა. გაეიდა რამდენიმე თვე და გამოეიდა განკარგულება ამ წლის სანელმ-წიფო ბეგარის (გარდასახადის) აკრების თაობაზე. ხალხი სრულიად მოუმზადებელი დახვდა და დიდ გა-ჭირებულ მდგომარეობაში ჩაეარდა. ყოველი საზო-გადოებიდან გაისმოდა: ფული ჩვენ არა გვაქვს და არც არაერთარი საშეალება მის საშოვნელათო. (რაც ფული იყო საჭირო, იმის საფასური სიმინდი რომ გაეყიდათ, თენთ მშვიერები დარჩებოდენ). ან საქონე-ლი (ძროხა და სხ.) აიყენათ ფულის მაგერათ, ან გვიშუამდგომილეთ უმადლესი მთავრობის წინაშე გვა-დროვონო. მაგრამ მათი ხმა დარჩა ხმათ მღალადებე-

\*) ერთ ვიდეტ გლეხს ორი უტკეში სიმინდი ჩაუ-ტანია ოჩემჩირეში ამ ზაფხულს, დაუვლას მთელი დაბა, მაგრამ ფუთში ექვს შაურზე მეტი არავის უძლევი. ამისთანა გაყიდვას არ გაყიდვა ჟობიაო, უფიჭნია სიმინდის მატ-რონს, ტომრებისათვის თავები მოუსხნია და თავისი სი-მინდი წყალში გადაუყრია.

ლისა უდაბნოსა შინა. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა ტანჯვა წვალებით იკრიბება აქ ახლა ეს ფულები. 15 კოკა ღვინოს (ზემო აფხაზეთში შეენიერი „ადე-სა“ და „ჩენენბური“ ღვინო მოდის) 3 — 4 მანეთათ აფასებდენ, მაგრამ ფულს მაინც ვერ შოულობდენ.

ყველა ამასთან ქურდობაც მეტის-მეტათ გავრ-ცელებულია ამ მხარეში.

მ. გ. ჭავჭავაძე.

\* \* \*

სოფ. ბაკურცხისე. (სილ. მახ.) თხუთმეტს წელი-წადზე მეტი იქნება მას აქეთ, რაც ჩვენ სოფელს საზოგადოებაში სკოლის დაარსების სურველი აღი-ბოდა. ვისაც ჰკითხავდით, ყველა გაიძახოდა: „ოჰ, ნეტა როდის ეღირსება ჩვენ სოფელს სკოლაო! ზოგიერ-თები ამბობდენ, ოლონდ ენმემ ითავოს სკოლის და-არსება და ჩვენ, ჩვენი მხრით, რაც კი შეძლება გვე-ქნება, ყოველ გვარ შეძწევობას აღმოვუჩინეთო. სხვა-თა შორის ზოგნი ისე გაბედოვლათდენ ცარიელი სიტყვების სროლით, რომ ერთბაშათ ას-ას თუმწო-ბითაც კი დაპირდენ შემწევობას სკოლისთვის... აი, ბატონებო, ამ კეთილმა დაპირებამ და სურვილმა იარა, იარა და ძლიეს, როგორც იყო, რის ვაი-ვაგლახით 1891 წელს გახსნეს სკოლა. დაიქირავეს დროებით ერთი პატარა ოთახი სკოლისთვის და მოიწვიეს მა-სწავლებელიც; დაიწყო სწავლა. 35 — 40 მოწა-ფე დაიარებოდა ამ სასწავლებელში; მათ ჰქონდათ მხოლოთ ხუთი თუ ექვსი ცალი „დედა-ენა“; სკამების უქონლობის გამო სწავლის დროს, ზოგი ფეხზე იდგა და ზოგიც დაჩოქილი იყო. მთელი თერთმეტი თვე ამ საცოდაობით მიმდინარებოდა სკო-ლის საქმე. მას შემბრალეებელი და თანამგრძობელი არსად გამოუჩინდა, ყველა მკეცხარა და გულცივი აღ-მოჩნდა, არც არავინ სკოლის აშენებაზე იზრუნა, არც ას-ას თუმწების შემოწირვაზე ფიქრობდა და არც სხვა დაპირების შესრულებაზე. სხვა შეწირულე-ბას ეინ იჩიელებდა, რომ მასწავლებლისთვის მაინც ჯამაგირი ეძლიათ, მაგრამ დაჩეთ უბედურებას: ეს უკანასკნელი კინაღამ მშვიერი მოკვდა, თერთმეტი თვე უჯამაგიროთ იმსახურა და ბოლოს იძულებული იყო თავი დაენებებია სკოლისათვის. აი, ასე დას-რულდა ბაკურცხის სოფლის სკოლის ბედ-იღბალი; 1892 წელს, მოისპოა სწავლა. საზოგადოების ასეთი გულგრილობა ნუ თუ სამარცხვინო არ არის? იქნე-ბა მკითხველმა იფიქროს, რომ ხსენებული საზოგა-დოება ღარიბი ყოფილა და ამიტომ ვერ შეუწახავს სკოლაო. — არა, ბატონებო, ამითი ვერ გაიმართლე-ბენ თავს. ჩვენ კარგათ ვიცნობთ ამ სოფელს და მას



არა თუ ერთი სკოლის, არამედ მეტიც შენახვაც კარგათ შეუძლია, ოღონდ კი თანაგრძნობა იყვეს საზოგადოებაში.

ბაკურცისელი.

\* \*

სენაკის მასწავლებელი გვწერს: წელს ჩვენსკენ ძალიან ნაკლები მოსავალი იყო; იმისთანა შემთხვევით, მაგ., რომელსაც წინთ 100 ჩაფხე მეტი ღვინო მოუყვებოდა წელს 5—10 მეტი არ მოსვლია. სიმინდის მოსავალიც ნაკლები იყო, ასე რომ უმეტესობას შუა ივნისამდე მიჰყვებდა სარჩო. ნათქვამია „ჯოჯოხეთის ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო“, სწორედ ასე მოგვივლიდა ჩვენც: ბოსტნეულობას, სახელობრ მხალს, გაუჩნდა ერთ-გვარი მატლი. საქმე ის არის, რომ ჩვენში მხალს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში, თითქმის მთელ ნახევარი წლის მარხვა დღეებში ეს შეადგენს ადგილობრივ მცხოვრებლების საკვებ მასალას. მატლი ასე ჩნდება: ჯერ შეამჩნიეთ უფროსებზე შეგჯუფულ კვერცხებს (კვერცხი ფეტვის მარცვლის ოდენაა); მერე დღეს ხედავთ უკვე გამოჩეკილ მატლს, რომელიც მაშინვე იწყებს ფურცლის ჭამას; რამდენსამე საათს შემდეგ ამ მატლს ფესვებზე გარედან გრძელი ბუუსები და იქცევა დიდ მატლათ, რომელსაც წითელ-ყვითელი ზოლები აქვს გადაყოლებული; მისი სიგრძე ორ გოჯამდისაა. სულ ცოტა ხნის განმავლობაში ეს მატლები ისე ანადგურებენ მთელ ბოსტანს, რომ მნახველს ჰგონია, აქ სრულიად არაფერი არ დათესილა. ყველანი იმას ამბობენ, რომ ვერავითარი საშუალება ვერ გამოუძებნიათ ამ ჭირისაგან თავის დასაუარავათ.

სოლომონ კანაშა.



ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

Русско-Грузинский словарь по Астрономии, Зоологии, Минералогии и разных терминовъ и техническихъ словъ, составилъ К. Д. Кипиани.




მ უკანასკნელ დროს ჩვენში წიგნების გამოცემა თანდათან მატულობს. შესანიშნავია ეს მოვლენა არა თუ თავისი სიმრავლით, არამედ შინაარსითაც: იბეჭდება სამეცნიერო, საზოგადოებისა და სხვა ამ გვარი წიგნები, რომლებიც მკითხველისაგან ითხოვენ სერიოზულ დაკვირვებას

და ამით ალგიძებენ მასში ნამდვილ ცოდნის სურვილს. წიგნების სიმრავლე და მათი შინაარსის სიკეთე ალბეჭდავენ ორ კულტურულ მოვლენას: ერთი მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ ინტელიგენციამ შეიგნა, თუ რა გვარი წიგნები გამოსცეს და მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას, მერე მხრივ—რომ წიგნები სალდებო, ე. ი. ჩვენ საზოგადოებას ემატება შეგნებული მკითხველი. ერთი სიტყვით, გამოცემილება გააგებს, თუ რა მიმართულებას უნდა დაადგენ წიგნების გამოცემაში, რომ უმეტესი წილი მკითხველებისა დაკმაყოფილონ საზოგადოთ. წიგნების გამოცემის საქმის ადვანან როგორც კერძო პირნი, აგრეთვე ამხანაგობაც, რომელმაც ამ ფრიად საქმეში შეითვისა არა-სასურველო ხასიათი: წიგნების სიძვირე, გამოცემის დაგვიანება და სხვა. წიგნების გამოცემის სურვილმა, როგორცა ჩანს, გაიტაცა კ. ყიფიანიც, რომელმაც გამოსცა წიგნი ზემოთ მოყვანილ სათაურით. სათაურის შინაარსიდან ჩანს, რომ კ. ყიფიანის ლექსიკონი მეტათ საინტერესო უნდა იყოს, რითაც უნებლიეთ მიიზიდავს ადამიანს. მკითხველს ამ წიგნის წაკითხვის სურვილი უფრო გაუარკვევდება მაშინ, როდესაც გადაათვალიერებს წინა-სიტყვაობას; ამ უკანასკნელიდანა ჩანს, რომ ავტორს შეუფუძვებია ორი ათას სუთსამდე სამეცნიერო და სატექნიკო ტერმინები და სიტყვები. ეს დიდი მასალა და ამ მასალის რიგინათ გამოარკვევას, დიხ, დიდი შრომაც უნდალა.

ჩვენ გავიძახით, რომ სამეცნიერო და სხვა ამ გვარ საქმიროებისათვის არ გვაქვს ტერმინები და სიტყვებიც; კ. ყიფიანი კი წინააღმდეგ აზრს გვიტყვიებს თავის ლექსიკონით. ავტორს დიდი იმედი აქვს, რომ მისი წიგნი ყველას დიდ სარგებლობას მოუტანს. წიგნის სარგებლობა (რომ დაწერილებით არ გამოვეყილოთ ამ აზრს) წიგნის შინაარსზეა დამოკიდებული. მაშ, ენახოთ, როგორ ასრულებს ავტორი თავის შრომას და რას აწვდის მკითხველს. აქვე უნდა ითქვას, რომ კ. ყიფიანს მეტათ დიდი შრომა უკისრნია, რომელსაც მისი ცოდნა და ძალ-ღონე დაუძლევიდა. ამ გვარ საქმეში მარტო დილეტანტობა (ისიც თუ დილეტანტი) ვერას გააწყობს: საჭიროა საკნების მიტყუება და დროით ცოდნა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებული ლექსიკონი არა თუ მიანწყებს თავის მიზანს, არამედ მკენსუქვას; მანებელი, ვამბობთ, იმ სახით, რომ ხსენებული ავტორი მკითხველს (მეტადრე მოზარდ თაობას) აწვდის წიგნს, ცრუ ცოდნით საკსეს. ამისთანა უფარვისი ცოდნა უნდა შეითვისოს მკითხველების უმრავლესობამ!.. მთელი შრომის გარჩევა შეუძლებელია, რადგან წიგნი შეცდომებით სავსე და ამაზე მოხმარებული შრომა უქმი იქნება...





ქ. ბუდა-პეშტის ნაციონალური მუზეუმი.


საზოგადოთ უნდა ითქვას შემდეგი: რუსულათ-სახელმწიფო საგნებს ქართული თარგმანი ან ნახევრათ ხსნის, ან სრულყოფით არ უდრის. ეს ჩვენი აზრი დამატებით კიდევ.

ჩვენ გადაეთვალეფეთ მთელი წიგნი და მივაქციეთ ყურადღება ზოოლოგიას. დაიწყოთ ამ სიტყვიდან. „*Зоология*—ცხოველთ წოდება და აღწერა“, გეასწავლის კ. ყიფიანი. თუმცა *Зоология*-ს ამ გვარი ახსნა ბერეს არას აშაეებს, მაგრამ მინც არ ვარგა: „*ცხოველთ წოდება და აღწერა*“ — არც მეცნიერული განმარტებაა საგნისა და არც თვით სიტყვის ახსნა. ზოოლოგია, როგორც ვიცით, რთული მეცნიერებაა და შეიცავს ფიზიოლოგიას, ანატომიას, აღწერითი ზოოლოგიას და კიდევ სხვასაც. ამ სახით ლოგიკური განმარტება ზოოლოგიისა, როგორც მეცნიერებისა, ძნელი საქმე იყო. ამისათვის ავტორის სიტყვა ზოოლოგია-ს ახსნა უნდა მოეყენა. ზოოლოგია ბერძნული სიტყვაა (*Zoon*-ცხოველი, *logos*-სიტყვა) და ნიშნავს, ცხოველთ აღწერა. „*Барашек* (шт.) — ლალდა“. *Барашек*-ს არც ჩვენ ვცით, რას ეძახიან ქართველები; ხოლო ის კი აშკარაა, რომ ეს ფრინველი ქაბის ფრინველია. ლალდა (*галка*) ყვევის ნათესაობის, ყვევის ოჯახის ფრინველია. ეს სულ სხვადა-სხვა ფრინველებია. „*Барань*“ ამ სიტყვას, სწავთა შორის, თარგმნის ასე: „ბატკანი, შიშლიგი“. *Барань*-საზოგადოთ ნიშნავს ცხვარს, უფრო ძამალ ცხვარს. სრულმით საჭირო არიყო და შეცდომაც არის, რომ ამ სიტყვას თარგმნის ბატკანი-თ, რომელიც რუსულათ ნიშნავს *барашек*, *ягненок*. რაც შეეხება სიტ-

ყვა შიშლიგ — ს, ეს თათრული სიტყვაა და არც ეთანხმება საზოგადოთ რუსულ სიტყვას: შიშლიგს\*) ეძახიან დასავლურ ცხვარს. ქართველი ხალხი (კახეთში) იშვიათათ ხმარობს ამ სიტყვას. „*Вирь* (?) — ფთარი“. თუმცა თარგმანი სწორეა, მაგრამ თვით სიტყვა უფარგისია: *Вирь* (და არა *Вирь*) იშვიათი სახმარებელია რუსულ ენაშიაც; ძნელათ თუ შეხედება ადამიანი მწერლობაში ამ სიტყვას, რომელიც, ჩვენი ფიქრით, აწავისთვის საჭირო არ არის. უფრო იხმარება ლიტერატურაში და მეცნიერებაშიაც *вира* (ლექსიკ. არის ეს სიტყვა), რომელსაც მდამბურათ მგელ-კაცასაც ეძახიან. არხაიზმების მოყვარულია ჩვენი ავტორი და სწორეთ იმატომ გამოუტყენია ამისთანა უცნაური სიტყვა.. *Въля*, *векша* — თრითინა კი არ არი, ციყვია. *Вдохь* (?) — კი არა, *удодь*. *Водоземное животное*-ს მაგიერათ უნდა *Земноводное животное*; ამ უკანასკნელ ფორმით ხმარობს მეცნიერება. „*Врань-ბუ*“ — ო, გაიძახს ლექსიკონი. *Врань* შემოკლებული (როგორც *бгада*, *врата*...) *воронь* არის; ამიტომ *врань* ბუ-კი არ არის, ყორანია. ავტორის აზრით *грячь*-იც ყორანია.. „*Двухтробья*“ — ს გვიხსნის, როგორც ყენლურა (ყენლურა?); *двухтробья* თვით ყენლურა არარის, თუმცა ეს პირუტყვიები მონათესავენი არაან და ერთ ოჯახს შეადგენენ. ავტორს უნდა აეხსნა, რომ *двухтробья* (თუ გინდ ორ მუცელა) ყენლურს ჰკავს; ამ ცხოველს ბერძნი სურათებიდან იცნობენ და ცო-

\* შიშლიგ-იდან წარმოადგება რუსული სიტყვა-*шашлик*.






ბუდას და პეშტის შემაერთებელი დიდი ხიდი.

ცხელი უნახეთ. „Дрозд — მაღალური“. საკვირველი შეცდომაა, რომელიც ბავშვს არ ებატება! აეტარი რომ არ დაზარებულყო და ეკითხნა რომელიმე ყასბისათვის, რა არის დროვდ, გაიგებდა, რომ ეს ფრინველი შაშვია. მაღალური ხომ иволга-ს ნიშნავს, რაფ. ერისთავის ლექსი მაინც წაეკითხა: „მაღალურიც გაიძახის — ბიჭო გოგიაო“. მართლა-და ზოგიერთ ალაგას ამ ფრინველს მდაბიო ხალხი ბიჭო — გოგიას უწოდებს. „Канюкь (მეტათ უყვარს იშვიათი სიტყვები) — კოდალა“. რუსულათ დასახელებული ფრინველი ხორც-ს მჭამელია და ეკუთვნის ძერის, ქარის მოდგმას, ხოლო კოდალა დაცოცავს ხის ტანზე და ჭამს მწერებს; ასე რომ კოდალა სულ სხვა ფრინველთ გუნდს ეკუთვნის. კოდალა ხომ дятель ია. „Кобыля“. წარმოიდგინეთ, თურმე ქართულათ ყოფილა „ფურ კამეჩი“!.. იქნება რუსეთ სრომელიმე კუთხეში ხმაზობენ ამ სიტყვას, თუმცა არა გვერნია, — მაგრამ ჩვენთვის სახალდებულო არ არის, რომ მესიერება დავტვირთოთ ამისთანა უცნაური სიტყვებით. ამას რა სჯობდა: буйволица (буйволъ) — ფურ-კამეჩი. „Дикая коза“, სხვათა შორის, ჯიხვი, ჯერანი, არჩვი“. არც ერთი არა ხსნის რუსულ სიტყვას. ჯიხვი, არჩვი რუსულათ туръ; ჯერანი — сайга, ან როგორც კიდევეს ხმარობენ джейранъ; ხოლო

дикая коза ქართულათ შევლი. „Конь“, სხვათა შორის, „ჭუნე, ონე“. სწორე მოგახსენათ არქეოლოგია (უკაცრაფათ, არხაიზმი) კიი საქმეა, მაგრამ... „Корова дикая (?)“ — შუნი“. შუნი ნიშნავს დედალ ჯიხვს; корова дикая-ს აეტარმა სხვა სიტყვა გამოუძებნოს ქართულ ენაში..... Вожья коровка და არა коровка рожья, რომელიც უთარგმნია, როგორც „მუმლი“; თუმცა ორივე მწერებია, მაგრამ ერთმანეთს თითქმის სრულდებით არ წააგვანან. „მუმლი მუნახაო“ — მღერის ქართველი ხალხი, მაშინ როდესაც როჯья коровка პატარა ბალახებდაც ვერ ავა. „Куреновь-წიწილა“, — ესეც ერთი ახალი ამბავი!.. „Лань“, სხვათა შორის, ვაც-ირემი. Лань-ქართულათ ფურ-ირემია. ვაც-ირემი, ჩვენის ფიქრით, უნდა ნიშნავდეს (ეციმამალი თხა) ხარ-ირემს. ვაც-ირემი არ გაგვიგია და ხარ-ირემი კი მიღებული სიტყვაა. „Овень“, სხვათა შორის, „ვერძი, შიშაქი“. ჩვენ როგორცა ვფიქრობთ, კ. ყიფიანს ვერ გაუჩრეგია ერთმანეთში ვერძი და შიშაქი. თორემ ერთ სიტყვას ამ ორი სიტყვით არ ავეიხსნიდა. ვერძი მამალი ცხვარია, ჭედილა; სწორეთ ეს მნიშვნელობა აქვს სიტყვა овень-საც. შიშაქი ხომ დედალი ცხვარია. „Оводъ“, სხვათა შორის, „ტკიპი“. დავარწმუნებთ აეტარს, რომ არაერთარი მზგავსება არ არის оводъ-სა და ტკიპს შორის. Оводъ ორ-ფრთია-





ქალაქი ბუდა-პეშტი.

ნი ბუზია და იკვებება თავაო; რაც შეეხება ტკიპს—  
 ეს ხომ ყველამ უწყის—ეს მუქთა-მკამელა მწერაა ზ  
 არც ფრთები აქვს. „შახ“ სხვათა შორის, გველ-  
 ხოკერა. რუსული სიტყვისათვის სრულებით კმარო-  
 და და მართალიც იქნებოდა—ანკარა გველი. თუმცა  
 გველ-ხოკერა უშხამო გველია, როგორც ანკარა, მა-  
 გრამ გარეგნობითი სულ სხვაა და ბევრით დიდია  
 ანკარაზე. ჩვენი ფიქრით, ესეც კმარა, რომ ყველამ  
 დაინახოს, თუ რა ღირსების შრომაა კ. ყიფიანის  
 ლექსიკონი. თვით ზოოლოგიის ნაწილში კიდევ მრავ-  
 ეალია ყოველ გვარი შეცდომები; ლექსიკონი გასაჩ-  
 ჩეააჯრ არა ღირს, და თუ გავარჩივთ, მხოლოდ იმი-  
 ტომ, რომ წიგნი ხმარებაში შევა და, როგორც ით-  
 ქვა ზემოთ, ბევრ ცრუ ცოდნას შეათვისებს ადამიანს.  
 ასეთი სიტყვები, როგორც ჭუნე, რე, შიშლიგი და  
 სხვა მრავალი ამ გვარი სიტყვები (თუ გინდ რუსული  
 ენიდანაც) შეადგენენ აჩსაიზმს, ადარ ხმარება ცხოვე-  
 ზაში, რადგან ჩვენი აწინდელი ცხოვრება ვერ შეი-  
 თვისებს მათ... კ. ყიფიანს რიგიანათ ვერ წარმოუდ-

გენიაა და ვერ გამოუტყვევია ნიადაგი თავის შრომი-  
 სა: აეტარს უნდა შეედგინა თავის ლექსიკონი აწინ-  
 დელ მეცნიერებაზე და ლიტერატურაზე დამყარებუ-  
 ლი.

შესახებშიმ წყაროებისა, რომლებითაც იხელ-  
 მძღენელა და ისარგებლა კ. ყიფიანმა, უნდა ითქვას  
 შემდეგი: თუ ჩვენი ლექსიკონები არ გადავათავალორეთ  
 და არ გადავასწორეთ, ესენი ჩვენ საჭირო შემწეობას  
 არ მოგვცემენ და ბევრ შეცდომაშიაც შეგვიყვანენ...  
 დროა, რომ ჩვენი ლექსიკონები ხელ-ახლათ და შე-  
 სწორებული ნაწილ-ნაწილათ გამოიცეს.

წიგნი შეიცავს 96 გვერდს და ღირს 50 კაპ.—  
 ძვირია. ამ გვარ წიგნების შედგენაში საჭიროა დიდი  
 ეკონომია: მთელი შინაარსი მოთავსდებოდა 48 გე-  
 და გაიყიდებოდა ნახევარ ფასათ.

დ. ალბანელი.





ბ უ დ ა-პ ე მ ტ ი.



წორეთ კარგ დროს მომიხდა ბუდა-პემტ-ში ყოფნა, მოგვიხრობს მოგზაური მ. ბერკოვი, უნგრეთი დღესასწაულობდა ათასი წლის თავის არსებობის დღეს, ამიტომაც ბუდა-პემტ-ში ურიტხე ხალხს მოეყარა თავი. ქალაქი შეენიერათ მორთული და გაჩაღებული იყო, ყველა უნგრელები ეროვნულ ტანისაქოსში იყვენ გამოწყობილი, თვით იმპერატორი, ფრანც-იოსებიც იქ იყო... დარიც შესაფერი დაუდგათ, შეენიერი ზაფხულის დღე იყო, უღრუბლო, მოწმენდილი ცა მხიარულათ დაჰყურებდა დედა-მიწას, მზე უხვათ აგზავნიდა ქვეითკენ თავის ცხოველ შეუქებს და სხვა-და-სხვა მცენარე-ყვავილები მომხიბლავ სუნნელებას ჰფენდენ არე-მარეს...

ისეც ლამაზმა და კოპწია ბუდა-პემტმა ამისთანა კარგ დროს სწორეთ მომხიბლავი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

ეს ქალაქი დუნაის ორივე ნაპირზე არის გაშენებული და წარმოადგენს ორ ქალაქს, რომლებიც შეერთებულია ერთმანეთთან დიდ და დიდებული ხიდით... მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქი, ბუდა, უფრო ძველებურია, იქ კიდევ არის ძველებური ნაშთები და ნანგრევები, პემტი კი სულ ახლათ აშენებულია, მორთულია კოპწია და ლამაზი შენობებით და ყოველ წელიწადს უფრო და უფრო ირთვება და შეენიერდება, ისე რომ მალე ავსტრიის სატახტო ქალაქს აჯობებს...

ყველაზე ლამაზი შენობები თეატრი და მუზეუმი არის. თეატრში არ შეგვიღო, რადგანაც უნგრული ენა არ ვიცოდი, მუზეუმი კი დაწვრილებით დავათვალიერე. ის მაინც და მაინც დიდი არ არის, მაგრამ შიგ ბევრი შესანიშნავი კოლექციებია მოგროვილი. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება შეენიერმა ნახატებმა მიიქცია. ერთი ნახატი წარმოადგენს არბადს თავის მხლებლებით, რომელსაც მორჩილებას უცხადებენ დამარცხებული უნგრეთის უწინდელი მცხოვრებნი... მას აქეთ ათასი წელიწადია და სწორეთ ამ დღიდან დაიწყო უნგრეთის თვით-არსებობა. ეს ნახატი ისეთ აზრითა და ხელოვნურათ არის შესრულებული, რომ შეიძლება ადამიანმა მართო იმის გამო დაათვალიეროს „ნაციონალური“ მუზეუმი...

ერთი ოთახი ამ მუზეუმში უნგრეთის პატრიოტ კოშუტის სახსოვრათ არის... აქ გამოფენილი ნახატები სულ კოშუტის ცხოვრებიდან არის გადმოღებული.

თუმცა მე, როგორც უცხოელს, ძალიან გამიპირდა სამ დღეს იქ ცხოვრება, მაგრამ უნდა გამოეტყდებ, ალტაცებაში მომიყვანა უნგრელების პატრი-

ოტობამ; არ შეიძლება, ყოველმა ადამიანმა არ თანაუგრძნოს ამ წმიდა გრძნობის გამოაშკარავებას.

ბუდა-პემტში ერთ სიტყვას ვერ გაიგონებდით უნგრელებისაგან სხვა ენაზე, სულ თავის სამშობლო ენაზე ლაპარაკობდენ, სიმღერაც, მუზიკაც, თამაშიც — სულ მათი, ნაციონალური იყო, ასე წარმოიდგინეთ, თვით წარწერებიც და აფშებიც უნგრულ ენაზე იყო შედგენილი... გზა რომ დაგზენოდთ და პოლიციის მოხელესთვის მიგემართათ საშველათ, ის ძალიან გულმოდგინეთ ავიხსნიდათ, საით უნდა წასულიყავით, მაგრამ საუბედუროთ თავ-ენაზე, ის კი არ ენაღებებოდა, გესმისთ რაწე თუ არა.

ქ-კო.

ა რ ი მ გ ო ს ა ნ ი.



ოთღის გზა-გასაყარზედა  
შაშვი იჯდა და გალობდა,  
შორს გაისმოდა მისი სმა,  
მსმენელი ერთც მძავლობდა.  
და შაშვი უფრო ეშინოთ  
ხანძარს ჭანტუის ჭანტუედა,  
სულ მიჯნურთ გულის ნაღებსა  
მღეროდა უცხო სმასედა,  
ხან მძლავ სწევდა და სანაც  
ბნდებოდა გადმოქმსედა.

\* \*

ბუდაბული ჩუმათ დარცხვენით  
იჯდა ეკლიან ბუჩქსედა,  
ცათ აწუული გრძნობითა  
მთთქამდა ქვეყნის წყლულსედა,  
აღარ ეცხლა შაშვივით  
ემღერნა სიყვარულსედა.

და შეპერობილი სეკვითა  
უფრო-და-უფრო ჭკნესოდა,  
ერთზე ტაროდა მოთქმითა,  
ქვეყნათ სსვა არა ესმოდა.

\* \*

ასე გალობდენ ორნივე...  
სოფელიც იარებოდა,  
შაშვის სმა მიჯნურობისა  
სულ ეგვლას აძებოდა



და უზრუნველათ თავის გზას  
 შიამოკლებდა შიშინა...  
 და იქ გო, სადაც მწყისრეთ  
 გლოვით მოსთქამდა მჭრინავი, \*)  
 ისმოდა გამკვლელების  
 გულის მომკვლელი მუღასა,  
 ან დაბეჭული ხმლებითა  
 გამხეტებული მუჭარა.

\* \* \*  
 ასე გზა გასაყარსედა  
 სსგა-და-სსგაობდენ ფრთოსნები.  
 და თვით სოფელში კაცთ შორის  
 აღმამფრინავი მგოსნები.

თ. წაზიკაშვილი.

### ქართული თეატრი. 1)

(„ურჩიელ აკოსტა“)

**მ**ვირას, 24 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულ-მა დასმა წარმოადგინა შესანიშნავი პიესა გუცკოვისა „ურჩიელ აკოსტა“, ლექსათ თარგმნილი ბ.ნ. ი. ბაქრაძის მიერ.

ამ პიესის მთავარი მომქმედის სახელის ხსენებაზე თითოეულ ჩვენგანს, ყოველ განათლებულ კაცს თვალ-წინ დაეხატება ძლიერი სულისა და შორს მხედველი თავისუფალი მოაზრის სახე, რომელიც გარე-შემორტყმულ ფანტიზმსა და უმეცრების წყენილად უცხადებს საშინელ ზიზღსა და ბრძოლას. ურჩილის მაგრათ მოკუმულ, ლამაზ ტუჩებზე ნათლათ ჩანს დიდი მძულეარება და მწარე ირონიის შხამი, რომლითაც იგი მიმართავს ხოლმე, საუბრის დროს, ირგვლივ შემოსეულ ტენი გაშეშებულ მწიგნობართა ბრბოს, რომელთაც თორას (მოსე წინასწარმეტყველის ხუთს წიგნს უწოდებენ) და თალმუდის თითოეული ასო სათაყვანებელ საგნათ გაუხდიათ. დიან, „ურჩიელ აკოსტა“ ცოცხალი პირია ყო-

\*) ბუღბუღი.

1) ბოდიშს ვისდი მკითხველებთან, რომ აქ არ გუქები არტისტთა თამაშობის დაფასებას და ქართველთა საზოგადოების თეატრისადმი გულ-გრილობის საქმეს. გაზეთში ადგილის უქონლობის გარდაც, მართალი მოკაცსენათ, საღისიდ არ გუქებს განვიძიარათ ათასჯერ

ველი მოაზრე-სკეპტიკისა, რომელსაც თავისი საკუთარი გრძობა-გონების ნაუქრალი, სინიღისი და რწმენანი მიანიხა უძვირუასეს საუნჯეთ, და იმის გულსთერს ყოველთვის მშთ არის იტირთოს აუტანელი, თითქმის ჯოჯოხეთური ტანჯვა და წვალება, რომ მით დაუმკვიდროს ბრწყინვალე მომავალი კაცთა საქაო ცხოვრებასა და წარმატებას...

რამი იხატება საზოგადოებრივი და მორალური მნიშვნელობა „ურჩიელ აკოსტას“ ცხოვრებისა? ჩვენ თუ ამ საკითხს შესაფერი პასუხი მოვუძებნეთ, გუცკოვის ტრაგედიის აზრიც დღესათვე ნათელი იქნება მკითხველისათვის.

მეფე ლირი, განუსაზღვრელი უბედურების წუთებში, ნუგეშს აძლევს მასათვის გაუბედურებულ გლოსტერს ასეთი სიტყვებით: „უნდა ითმინო... ტირილით ვიბადებით ჩვენ! შენ თვითონ იცი, — პირველ ქამს როს ჰაერსა ველაპავთ, ვბღავთ და ეტირით...“ 2)

„უნდა ითმინო“ — დიდი და სულ-გრძელი სიტყვებია... მაგრამ რა მანქანების ძალით „უნდა ითმინდეს“ გული, დადუმდეს სული ფხიზელი ადამიანისა, როდესაც ისტორიის დასაბამიდან მოყოლებული ამ ქამამდე შემხედვარე ხარ მხოლოდ უმეცრებისა და რუტინის წარმომადგენელი ავტორიტეტისა,

გამოთქმული აზრი სათათაოთ ჩვენი არტისტების თამაშობის შესახებ. რაც შეეხება ქართველების მიერ ჩვენი თეატრისადმი გულ-გრილობას, ესეც ერთი რომ, „არასაღა, მკვლეა“, და შეორც ისა, რომ კაცთათვის ვიცით ამ გარემოების მიზეზი რაც არის და, მასთანადაც, მარტო სუვედურის გამოთქმა საქმეს სწულებით ვერაფერს უშკვლის. თბილისში, საქართველოს მკვლ დადა ქადაქში, (სამართლიანის აზრმა არ უნდა შეგვაშინოს) ქართველთა, რეორც საზოგადოებრივი ძალა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ერის ის წყ, კლასი, რომელზედაც დამყარებულია, დღევანდელი ეკონომიური ცხოვრების პირობების თანხმით, ყოველი საერო, საქველ-მოქმედო, თუ საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმატება, არ ანსებას ამ ყამათ. ეს არის ძირითადი მიზეზი, რომ არც ერთ ქართულ საზოგადო დაწესებულებას, მარტო დატავი ინტელიგენციის მიერ დაწესებულს თბილისში, აწავითარი ნიანდაგი, სინცრცხლის ფერი და ნიშან-წყული არ ეკრება. და, გიდაც მხოლოდ ჩვენი სოფელი თავად-აზნაურებისა და ტუტების იმედი აქვს, იმას შეუძლია, სუვედურს გარდა, ცრემლებიც დვაროს... სანამ თავლთა უბუბუ ძალზე არ დაუსიჯებ.

2) მეფე ლირი, ტრაგედა გ. შექსპირისა, ინგლისურიდან გადმოღებული იგი. მანაბლის და იღ. ჭკუჭკადის მიერ.



რომელსაც შეასკდა ურიელ აკოსტას მსგავსთა მთელი გონების ძალა, და მინც ტირილი და მწუხარება, ბრძოლის საშინელი სურათი თითქმის არ იცვლება, არა და არა. ისტორიის დასაწყისიც კი აღნიშნავს, ბენ-აკიბასი არ იყვის, სკვპტიკების არსებობას. პირველი სკვპტიკი ბაირონისა და ლეკონტ დელილის კანია, რომელიც წარმოადგენს მთელი კაცობრიობის სიმბოლოს. ის ღეთაებოა, რომელმაც შექნა კაცობრიობა ტანჯვისა და ბოროტებისათვის, არის ნამდვილი დასაბამი და შექმნილი ტანჯვისა და ბოროტებისა: იგია ნამდვილი მკვლეელი აბელი-სო... ისტორია აღნიშნავს აგრეთვე იმასაც, თუ რა გზას ადგენ სკვპტიკები და რა საშუალებას ხმარობდნ თვის მოქმედებისათვის.

იგივე ისტორია გვეუბნება, რომ ადამიანის ბედ-იღბლის, საქაო და საიქიო ცხოვრების გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებდა ორი სხვა და-სხვა, ერთი მეორის წინააღმდეგი მიმართულება. ერთი საქაო სიცოცხლესა და ცხოვრებას უსპობდა ადამიანს, მეორე უქაღდა განახლებულს ცხოვრებას, აღმატებას და წარმატებას. ერთია საქაო ცხოვრების უარის ყოფა და სიკვდილი, მეორე—ამავე ცხოვრების მკვდრეთით აღდგენა და პროგრესი. მაგალითები. აი, ბუდიზმის დამაარსებელზე რას მოგვითხრობს გადმოცემა. იგი იყო შენიერი და ნიჭიერი, ესე 28 წლის, ახალგაზდა თავადი-შვილი, რომელმაც ზედი-ზედ განიცადა ამ წუთი სოფლის უბედურება: ავთმოყოფობა, ტანჯვა და სიბერე. ამ გარემოებამ ისეთი საშინელი ზედ-მოქმედება იქონია ამ კაცზე, რომ სამუდამოთ დასწყევლა და შეაჩენა სოფელი ესე და თვისი ნიჭი მოახმარა სხვა ქვეყნის შექმნას, სადაც არც ტირილია და არც სიცილი, არც გულის-თქმა და სურვილები. მსგავს მოვლინებას წარმოადგენდა იუდაიზმი და მაჰმადის მოძღვრებაც. ეს იყო საქაო სიცოცხლის, ადამიანის ცხოვრებისა და გონების მომავედინებელი, სრულიად მომსპობელი ისტორიისა და პიროვნებისა. დამფრთხალობა და შეშინებულმა ადამიანმა დაჰკარგა ჭკუა-გონება და უმეტერების წყევლიდმა დაჰფარა მთელი არე-შარე. ეს იყო აზიის კაცობრიობის ცხოვრება, რომელსაც ისტორიამ მოუღო ბოლო... აი, ამისი წარმომადგენელი არიან, ურიელ-აკოსტას გარდა, პიესის ყველა დანარჩენი მომქმედი პირნი.

მაგრამ არის, ჩემო მკითხველო, მეორე მიმართულება, რომელიც დიდი ხანია იცის ისტორიამ და რომელშიაც სუოდგმულებს ჩენი ნუჯეში და სასოება.

ეს მეორე მიმართულება, ფხიზელი გონების იქები და სკვპტიციზმი დაბადა მარტო ევროპამ ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ბავშური ხანა ცხოვრებისა ის ის იყო მისის ვარდს კოკორიგით იშლებოდა. ის იყო ევროპასაც, აზიის წაბაძით, შეექმნა თავისთვის ღმერთები და კერპები, უმაღლეს აეტორიტეტზე აშენებული ცანი და ქვეყანანი, რომ გაისმა გასაოცარი ხმა და ძლიერი სიტყვა სკვპტიკებისა და...კერპები, უმაღლეს აეტორიტეტზე აშენებული ცანი და ქვეყანანი სუბუქი ნაფოტებივით დაქანა ცხოველს-ყოფელმა ქარმა... კაცს კარგათ გამოარკვეულიც არ ჰქონდა სახე თვისი ღმერთისა, და მაშინვე მისმა გონებამვე ამ ღმერთს დალუბის უფსკრული-საკენ მიუთითა.

გასაშტერებელი ტრაგიზმის გამოჩხატელობა ევროპიელთა გონების მოძრაობის ისტორია! აქ თითქმის თანაბარი მსხვერპლი იწირებოდა ფანატიზმის მხრითაც და სკვპტიციზმის მხრითაც. და ეს იმიტომ, რომ ევროპის კაცობრიობის აზრმა ვერ აიტანა უფსკრული, რომელიც გამსკდარიყო იდეალსა და ნამდვილ უმეტერებას შორის. იგი აზიელივით არ დაემორჩილა თვის დამლუბებელ ბედ იღბალს და იტვირთა ნარ-ეკალით მოფენილი გზა ბრძოლისა და განახლებისა, პროტესტი განუცხადა ძველადანვე დადგენილ წეს-წყობილებას და მზათ იყო მტლეთ დადებოდა ამ განზრახულ საქმეს, მხოლოთ იმიტომ, რომ თვისი ნაფიქრალი და ნაგრძნობი, რწმენა და პიროვნება დაეცვა. აქ წყევლიადასა და უდაბური ველ-მინდორის მაკიერათ, სიცოცხლე დულს, ცხოვრება მუდმივ მოძრაობასა და ბრძოლაშია, რომლის მეოხებით თან-და-თან შენდება ახალი ქვეყანა, აღსავეს დიდი იმედებითა და სასოებით.

ურიელ-აკოსტაც (ბ. ალექსეევ-მესხიშვილი) ცოცხალი და ძლიერი წარმომადგენელია ევროპიელთა გრძნობა-გონების მოძრაობისა, რომელიც ებრძვის ურიათა კერპებს და ფანატიზმს. თვითონ მაღალი ენტუზიაზმით აღსავეს ურიელ თემით ცეცხლ-მოკიდებულ, მღვლეარე და გენიოსური სემიტთა შვილია, რომელსაც გალილესი მაგალითი ლამპარივით წინ



უძღვის და გზას უნათებს. ურიელ მიძიმე დასჭრა და დატანჯა ურიათა უმეცრებამ, იმისი კეთილ-შობილი მარჯვენა ხელის გული ხშირათ გამწარებით ასკდებოდა ურიელისავე მაღალს, მოაზრე შუბლის კანს ღმწამით საცე სულიერ ბრძოლას განიცდიდა... მაგრამ, ბოლოს, იმან მაინც საშინელის გაბოროტებით ძირს დაამხო წმიდა ტრაპეზი ურიათა ფანატიზმისა, მთელი აღთქმის კიდობანიც და გამარჯვებული იერიში მიიტანა ძველ, წრეს-გადასულს ცხოვრებაზე. გაუმარჯოს ურიელს და იმის მსგავსთა!..

სომედი.



შ ე ნ ი შ ვ ნ ა .



ნო რედაქტორო! ნება მომეცით, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყო მათ, ვისაც „ქიათურის შაგი ქვის მწარმოებელი ამხანაგობის“ შესადგენათ ფული აქეთ შემოტანილი ანუ სხვაგვარ ეინტერესებთ ეს საქმე.

აი, დღეს ვკითხულობ ბ. აღ. ივ. წულუკიძის წერილს („კვალი“ № 46), რომელშიაც ის კომიტეტს თხოვს ფულის და მოქმედების ანგარიშს. ბ. წულუკიძის მოთხოვნებიდან სრულიად ეეთანხმები, ეს სამართლიანია და უსათუოთ პასუხი უნდა მისცე, ამ საქმისათვის ამორჩეულმა კომიტეტმა. შარშან „ივერიაში“ დაიბეჭდა ჩემი წერილები: „ქიათურის შაგი ქვის მადნები, როგორც სიმდიდრე“. ამ წერილის ბოლოში კომიტეტს ვუსაყვედურე, რომ საქმე მიძინებულ-ამიტოვებული შექნა. რომ დღემდე, კომიტეტს ამ საქმეზე ხმა არ ამოუღია, ეს ყველამ კარგათ ვიცით. მაშ, თუ სიჩუმეა, აღარც საქმის კეთება იქნება და სწორეთ ამან გამოიწვია ბ. აღ. წულუკიძის წერილი, რომელიც ანგარიშს თხოულობს კომიტეტის მოქმედებისას. მე ეეთანხმები ბ. აღ. წულუკიძის მოთხოვნებიდან და მივიღებ ისე, ვითარც მის წერილში ხატედენ თავიანთ სურვილს ისინიც, ვინც ამ საქმის შედგენაში მონაწილეობას ლებულობდენ.

ჩემი მხრით, პასუხი უნდა მიეცე საზოგადოებას, რაშიაც მასთან ეადრებულნი ვარ. ამისთვის ვაუწყებ, რომ, ის ნაწილი საწივრო ფულისა, რომელიც ჩემს ხელში შემოვიდა, მე ჩემი მხრით ბ. კ. ლორ-

თქიფანიძეს გადაეცემა, როგორც ეს წესდებაშია ნათქვამი; ამისთვის ბ. აღ. წულუკიძის მოთხოვნას შევეერთებ ჩემსას და ეთხოვ „ქიათურის შაგი ქვის მწარმოებელ საზოგადოების“ დასაარსებლათ არჩეულ კომიტეტს, რომ მან თავის მხრით საზოგადოებას წარუდგინოს თავისი მოქმედების და ფულის ანგარიში.

თუ კომიტეტს დღემდე არაფერი გაუკეთებია ამ საქმისთვის და აწივ არაფრის გაკეთებას ფიქრობს, მაშინ ისლა დარჩენია კომიტეტს, რომ ფული დაუბრუნოს მათ, ვინც კი რამე შემოიტანა ამ საქმისთვის.

ი. ზ. კაკაბაძე.

მიუნხენი 28/16 ნოემბერს 1896 წ.



უ ც ხ ი ე თ ი ღ ა ნ .

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II \*)

ს კ ო ლ ა .



მსწავლეულები. სახალხო განათლების საქმეში უპირველესი ადგილი უეჭველათ სახალხო მასწავლებელს უჭირავს. სკოლის ფეხზე დაყენება, სწავლა-კოდნის გავრცელება, ახალ-თაობის აღზდა, ხალხის გონებრივი წინამძღოლობა, ყველა ეს და ათასი სხვა ამგვარი მისგან არის დამოკიდებული. ზემოთ მოყვანილი სკოლების მართვა-გამგეობა, მათი პროგრამების განსაზოციელებლათ და მით თავის მოვალეობის პირ-ნათლათ შესასრულებლათ საკმარისი გონებრივი საგზალი და პედაგოგიური ნიქია საჭირო. ამისათვის მასწავლებლის მომზადება, განვითარება და გაწრთნა გვარაიანი ძნელია. გერმანელი მასწავლებელი — გერმანიის სკოლა — ეს გერმანიის ხალხია, გერმანიის ხალხი — ეს ევროპის ერთი მოწინავე ერთგანია, ცივილიზაციის ღ წინ-მსვლელობის მატარებელია. მასწავლებელი მოღვაწეობს იქ, სადაც ვერი თავის ცხოველ-მყოფელ ძალას იკრფს და მსოფლიო ასპარეზზე, როგორც ერთი განუყოფელი

\*) ის. „კვალი“ № 4. 9



ერი, გამოდის, თითოეული ქალაქი, თითოეული სოფელი, თითოეული საზოგადოება არის მხოლოდ ერთი პაწია ლელე, მოიხსნისე წყარო, რომელთა ერთთა მოგროვება, ერთ კალაპატში მოკრეფა, წარმოშობს ევებერთელა მდინარეს, რომელიც აბობს მთაგორას და თავისუფალ მოძრაობის ალავს პოულობს. დაქსაქსეთ, დაბნით, დაშალეთ პირველი და მაშინვე დასუსტდება და გაქტრება უკანასკნელი. დაცილებეთ ქალაქი ქალაქს, სოფელი სოფელს, საზოგადოება საზოგადოებას, მოსპეთ მათ შორის კავშირი, ჩაკეტეთ თავიანთ კედელში და რა შედეგი მოუყვარ არის ერთი, გაქტრა ეროვნული ძალა, მოისპო ეროვნული კულტურა. არსებობს ხალხი, საზოგადოებათა გროვა, მარა ეროვნება კი არა. ეროვნება მხოლოდ მათ შეერთებაში, შეკავშირებაში და ერთ ინდივიდუალურ სხეულის ჩამოხსნაში მდგომარეობს. აი, ეს პროცესი ზოგმა ერმა უკვე დაასრულა, ზოგი ახლა ასრულებს, ზოგმა კი მომავალში უნდა დაასრულოს. გერმანიამ ეს პროცესი კიდევაც დაასრულა და კიდევაც ვერ დაასრულა. ეს საშუალება გერმანიის კულტურის ძირითადი თვისებაა. ის მხოლოდ ამით და ამაში მოძრაობს, ამ მოძრაობაში სახალხო სკოლას და მის ხელმძღვანელ — სახალხო მასწავლებელს უშაღლესი აქტიური ადგილი უჭირავთ. ჩვენ ზევით გავიცანით პირველი, ახლა გავიცნოთ მეორეც, რომ მათ დანიშნულებაზე ერთი საზოგადო შეხედულება შევადგინოთ და აქედან ერთი საზოგადო დასკვნა გამოვიყვანოთ.

თუ ახალგაზდას, შემდეგ სახალხო სკოლის გათავებიდან ან და რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის დაბალი კლასიდან გამოსვლისა, სოფლის მასწავლებლათ წასვლა სურს, უნდა მიმართოს მაზრის სახალხო სკოლათა გამგეს და პირველი ეგზამენები დაიჭიროს, გამოცდიან მხოლოდ იმ საგნებში, რომელთაც სახალხო სკოლაში გადიან და ამას გარდა ფორტოპიანოს პირველ — დაწყებით ხმები და ცოტა ხატეც უნდა იცოდეს. ამ დროს მას ეწოდება „Schulspirant“ (სკოლის მაძიებელი ანუ მსურველი). შემდეგ ამისა ის მიღის მრავალ მასწავლებლიან სახალხო სკოლაში, ებარება ერთ-ერთ მასწავლებელს (ან და სემენარიის მასწავლებელს) და სწავლობს სემენარიის შესვლისათვის საჭირო საგნებს. ეს საგნები იგივეა, რაშიც პირველი ეგზამენი დაიჭირა, მაგრამ აქ უფრო ვრცლათ და შეგნებულათ ითვისებს. აგრეთვე ფორტეპიანოს და სკრიპკის დაკერაში და ნოტებზე გალობაში უნდა გაეარჯიშდეს. ეს გრძელდება ორ წელს. ამ ხანში მას უწოდებენ „Schulpraeparand“ (ცინც სკოლისთვის ემზადება). სწავლაში თუ ნიქს იწენს პირველ წელს შემდეგ სახელმწიფო და-

ხმარება ეძლევა, 80—120 მარკა წელიწადში. რაკი მომზადება დაასრულა, ის საოსტატო სემენარიისში შედის კონკურსის ეგზამენით, სადაც 2—3 წელი რჩება. სწავლის საგანია: ისტორია, გეოგრაფია, მატემატიკა, ბოტანიკა, ზოოლოგია და სხვ. ერთი სიტყვით ყველა ის საგნები, რასაც კი სახალხო სკოლაში სწავლობენ და ამას გარდა ახალი ენებიც. აქ მას ამზადებენ როგორც თეორეტიულათ, ისე პრაქტიკულათ. პედაგოგიის ისტორია და თეორია უპირველეს სასწავლო საგანს შეადგენს. უკანასკნელ სასტიკ ეგზამენს შემდეგ, ის ათავებს სასწავლებელს და გამოდის არა როგორც მასწავლებელი, არამედ როგორც მასწავლებლის კანდიდატი. დღეიდან მთელი ყურადღება იმაზე არის მიქცეული, რომ ეს კანდიდატი ნამდვილ მასწავლებლათ გადაიქცეს. სასწავლებელი თუ მას კანდიდატათ ამზადებდა, ცხოვრებამ მასწავლებლათ უნდა მოამზადოს. ამისათვის ლებულობენ ბეგრნაირ საშუალებას. პირველათ მას ამწესებენ მრავალ-კლასიან სკოლაში, სადაც უფროსი მასწავლებლის ზედა-მხედველობით მასწავლებლობს. ცოტა ხნით ამორბენ აგრეთვე ერთ-კლასიან სკოლასაც. სამაზრო ქალაქში მათთვის იმართება განსაკუთრებითი პედაგოგიური კურსები, კონფერენციები. ადგენენ კითხვის საზოგადოებას (Leregesellschaft), აძლევენ პრემიებს და სხვა ჯილდოს. ასეთი მზადება გძელდება 30 წლამდე, მაშინ კი ხელ-ახლათ ეგზამენს იჭერს (პრაქტიკულს) და ირიცხება ნამდვილ მასწავლებლათ და ჯამაგირიც ემატება. ახლა ის მომზადებული, დამოუკიდებელი მოღვაწეა. მასწავლებლის განვითარება ამით არ სრულდება. სამაზრო კონფერენციებზე მან ყოველ წლიე ორი თხზულება უნდა წარადგინოს. ეს სავალდებულოა 60 წლამდე. ასეთ კონფერენციაზე ესწრება მაზრის ყველა მასწავლებელი. აქ არჩევენ სხვა-და-სხვა პედაგოგიურ კითხვებს, კითხულობენ რეფერატებს და სხვ. აი, მაგ., 11 იენის (1895 წ.) სოფ. ჰოფენში მომხდარ კონფერენციაზე რა კითხვები გაუჩრევიათ:

- 1, დაზღვევის წესები და ანგარიში.
  - 2, თხზულებათა გარჩევა (რომლებსაც მასწავლებლები არადგენენ).
  - 3, პოლიტიკური წყობილება გერმანიისში.
  - 4, მასწავლებელ ბიშეს კითხვის მეთოდი. (ერთ სოფლის მასწავლებელს ბ. ბიშეს გამოეგონა კითხვის ახალი მეთოდი და ამის შესახებ კონფერენციაზე მოხსენება წარადგინა).
- ასეთ კონფერენციებს განსაკუთრებითი ღირებულება მართალია. ამას გარდა წელიწადში ერთხელ ხდება მაზრის მასწავლებელთა ყრილობა (Bezirksversammlung), რომელსაც მაზრის ინსპექტორი განაგებს.



აქ არღვენენ სკოლის სწავლის ანგარიშს, რევიზორის შენიშვნებს, ეგზამენების მიმდინარეობას და სხვ. აქ ირიცხეა ყველა ეს კითხვები და შესაფერი მსჯავრი ედება. შარშან ასეთ ყრილობაზე გაარიჩეს სხვათა შორის სწავლის გასაძეღლებელი სკოლის ახალი კანონი და პროგრამა. თითოეულს აქვს კრიტიკის და თავის აზრის გამოთქმის უფლება. ის მუხლი, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებას, ან მთელ მასზრას არ უღდება, თანახმათ ადგილობრივი მოთხოვნებისა იცელება.

ყველა ეს კრებები კანონით სავალდებულოა და განაგებს მთავრობა. მაგრამ არის ისეთი კრებებიც, რომელნიც სრულიად სავალდებულო არ არის და მთავრობასაც მათთან არავითარი საქმე არ აქვს. ეს არის მასწავლებელთა კერძო საზოგადოებები. მათი მიზანი სამნაირია: პედაგოგიური, დროს-გასატარებელი და პოლიტიკურ-სოციალური.

წმინდა პედაგოგიური ხასიათისაა, მაგ., საზოგადოება კითხვის, წერის, ხატვის და სხვ. თითოეული წარმოებს ცალ-ცალკე; ჰყავს თავისი კომიტეტი, თემგვდომარე ხაზინადარი, აქვს კრებები და სხვ. ის იღწვის თავისი საგნის რიგაწათ შესასწავლათ, და გასაუმჯობესებლათ. ამისათვის ის მოქმედებს არა მარტო თავიანთ წევრებთა შორის, არამედ აძლევენ თხოვნას უმაღლეს მთავრობას ამა თუ იმ სახელმძღვანელოს, სწავლების გეგმის და მეთოდის სკოლაში გაშეფუხისათვის. მაგ., წერის საზოგადოების რომელიმე წევრი დარწმუნებულია, რომ ირიბათ წერას პირდაპირი ხელი ჯობს, ან პირდაპირს ირიბი. ის თავის აზრს გასაყვანათ კრებებზე ადგენს მოხსენებებს, ეწევა აგიტაციას და როცა უმრავლესობა მის აზრზე დგება, მაშინ მთავრობასაც თხოვნას აძლევენ შესაფერი ღონისძიების მისაღებათ. მასწავლებელთა ხმას, მათ აზრს და შეხედულებას უმაღლეს მთავრობასთან საპატიო ალაგი უჭირავს. იმას, რაც მასწავლებლებს ანტერესებს, სასარგებლოთ და საჭიროთ რაცხენ და ადრე თუ გვიან კანონთაც გადაიქცევა მასწავლებელი არა მარტო მასწავლებლობს, არამედ კიდევაც რეფორმატორობს. მთავრობის მიერ სწავლების პროგრამას არა მარტო ასრულებს, არამედ კიდევაც ცვლის და თავის ჰკუთხე მიჰყავს. მაგრამ ასეთმა მოქმედებამ, შესწორება-ცვლილებამ პატივი რომ მოიპოვოს იქ, სადაც ჯერ არს, საჭიროა მასწავლებელთა შეერთება, საზოგადოების შედგენა და ერთათ მოქმედება. საზოგადოება იფარავს თავის წევრს თვით-ნება ბატონებისაკან და მის მიერ გამოგონილი რეფორმა პრაქტიკაში ვაჰყავს. ამიტომ არის, რომ აქ ასე მრავალია მასწავლებელთა საზოგადოება ამა თუ იმ საგნის პედაგოგიურათ განკარგებისათვის.

ამასთანავე ისინი არც ვართობა-დროს-გატარებას იეიწყებენ. საზოგადოება სიმღერის, მუსიკის (ამას პედაგოგიური მნიშვნელობაც აქვს), გიმნასტიკის, მოგზაურობის და სხვა-და-სხვა, — აი მათი შემაკავშირებელი საგანი. თითოეულ სოცელშია მომღერალთა გუნდი, რომლის ხელმძღვანელი ჩვეულებრივ ადგილობრივი მასწავლებელია, როგორც ამ საგნის სპეციალისტი. აგრეთვე ეკლესიაში მგალობელთა ლოტბარი, ფორტეპიანის დამკრევი მასწავლებელია. აქ ყველა ეკლესიაში საკრავია, რომლის დაკრა მასწავლებელს აქვს დეალბული. ამა, გლეხებმა რა იციან ფორტეპიანო, ხოლო განსაკუთრებით ამისათვის ხომ არავის დაიკრავებენ. ამიტომ არის, რომ აქაური მასწავლებელი უთუოთ საკრავებზედაც უნდა უკრავდეს.

სასლაგარკეთილი.

(ქმდეკი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

**შ**ოწყალეო ხელმწიფეე ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში. „კვალის“ მე-48 ნომერში წაიკითხე ბ. ე. მასხულიას წერილი, ქუთაისიდან, რომელშიაც იგი ეხება ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობას და სიზარმაცეს და საღათს ძილს წამებს მას.

რადგან ბ. მასხულიამ თავისი შენიშვნა ანდაზით დაიწყო, მეც ანდაზითვე დაიწყებ ჩემ პასუხს. რათ დავეიწყებიათ, ბ. მასხულიაე, რომ ტუჟილს მოკლევ ფეხები აქვს და დიდ მანძილს ვერ გაივლის. თქვენ ბრძანებთ: „ამ ექესი წლის წინეთ თბილისში დაარსდა „ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“, რომელიც დღესაც არსებობს და თავის „დანიშნულეზასაც“ ემსახურება. იმავე წელს (რა თქმა უნდა „წამხედურობით“) ქუთაისშიაც დაარსდა ქართული „წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“, რომელმაც ექესიოდე წიგნაკის გამოცემას შემდეგ ტკბილ ძილს მისცა თავი და მას აქეთ ძინავს ტკბილათ“. უნდა მოგახსენოთ, ბ. მასხულიაე, რომ ხსენებულ ამხანაგობას კი არ მიუცია თავი ტკბილი ძილისათვის, თქვენ გძინებიათ ტკბილათ და აქამდის ვერ გავიგიათ, რომ ამხანაგობამ იმ ექეს წიგნს გარდა, რომელიც თქვენ მოიხსენიეთ, შეიდი კიდევ სხვა გამოცედა და დიდი ხანია გასაყიდათ დაუროგა ყველა თა-



ვის აგენტებს და ქართულ წიგნის მალაზიებს. თქვე დალოცვილო, ქუთაისიდან კორესპონდენციასა წერთ და რა იქნებოდა შებრძანებულთაგანით ქილაძის ან ბეჟანეიშვილის წიგნის მალაზაში, სადაც ნახავდით ამხანაგობის ყველა გამოცემას!

რადგან თქვენ დაგზავრათ ამის გაგება, მე მოგახსენებთ: იმ შემოსხენებულ ექვს წიგნს გარდა, ამხანაგობამ გამოსცა კიდევ შემდეგი წიგნება: 1) თხზულება გ. წერეთელისა ტ. I, 2) ჰაერი და სითბო ქვიატოესკისა, ნათარგმნი გ. შარაშიძისა, 3) თხზულება გ. წერეთლისა ტ. II, 4) საქართველ-ის ისტორია თ. ს. ბარათაშვილისა, რეეული I, 5) იგივე ისტორია რეეული II, 6) ზეიმა—მოთხრობა, ჟანდის თხზულებიდან გამოკრებილი დიმი. ივ. ყიფიანის მიერ, 7) მეორე გამოცემა — „დღა-შვილის თავგადასავალი“ ე. დე-ამეჩისა; ახლა ამხანაგობა ჰბეჭდეს თ. მამია გურიელის თხზულებას, რომლის 300 გვერდი უკვე დაბეჭდილია და მომავალ იანვრამდის მთლათ დაიბეჭდება.

ნუ დაივიწყებთ, ბ. მასხუღიავე, რომ ამხანაგობის გამგეობა შედგება იმისთანა პირთაგან, რომელნიც ამ საქმეს უსასყიდლოთ ემსახურებიან და სწორავენ მხოლოთ მცირედ დროს, რადგან თითოეულ მათგანს თვისი საკუთარი საქმე აქვს.

არც ის უნდა დაივიწყეთ, რომ როცა კალამს ხელში იღებთ, იგი უნდა ამუშავეთ სიმაართით რე სიცრუე არ გაუჩიოთ თქვენ ნაწერში, თორემ ამით თქვენ თავსაც შეირცხვენთ, გაზეთს და მკათხველ საზოგადოებას შეცდომამა შეყვანთ და თვით იმ საქმესაც ჩრდილს მიაქენებთ, რის შესახებაცა წერთ. მეორე თქვენი ცნობაც, რომ ვითომც „სამი წელი გადის და ერთი კრებაც არ მომხდარა და არც ის ვიცით, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საქმე“, — სიმართლეს მოკლებულია. თუ თქვენ თავს კორესპონდენტათა თვლით, ალბათ გაზეთ „ივერიას“ და „Новое Общество“-ს ჰკითხულობდით. ამ გაზეთებში ყოველ წელიწადს ამხანაგობის გამგეობა აცხადებს კრების დროსაც და ადგილსაც და ამასთან ამხანაგობა უდგენს თავის მოქმედების ანგარიშებს, რომელნიც კრების მიერ დამტკიცებულნი არიან.

რათ ფიქრობთ, ბ. მასხუღიავე, რომ წამხედურობა აღამიანს წაწყმედს? წამხედურობაც არს და წამხედურობაც: კაი წამხედურობა კაცს კი არ წაწყმედს, აცხონებს, ხოლო გლახა წაწყმედს. ქუთაისის საზოგადოება ისეთი უმეცარი არ ვახლეოთ, რომ ვერ გაარჩიოს, რა არის წამხედის ღირსი და რა არა.

ჩვენ დიდათ მოხარულნი ვართ, რომ თბილისის წიგნების გამოცემელი ამხანაგობა რეკიანათე-

სახურება თავის დანიშნულებას; დეკრთვა ქნას, რომ უფრო მეტი უნარი გამოეჩინოს და მით მეტი სარგებლობა მოეტანოს ჩვენი ქვეყნისათვის. თბილისის ამხანაგობა შედარებით უფრო დიდია, იმას მეტი ნივთიერი შეძლება აქვს; ქუთაისის ამხანაგობა კი უფრო მცირე რაცხვიათა, ნაკლები შეძლებას პატრონი; ამის გამო საქმეც აქ ნაკლები კეთდება, ვიდრე თბილისში.

თუ, ბ. მასხუღიავე, გული გტყვიკათ ქუთაისის ამხანაგობისათვის და ცუდაც შეგწყეთ, უმჯობესი იქნება, უსაფუძველო დაცინვის მაგიერათ, რჩევა მისცეთ ამ ამხანაგობას, თუ როგორ წაყვენოს საქმე, რომ მეტი სარგებლობა მოეტანოს საზოგადოებას. ჩვენც გვესმის და ვკრძაობთ, რომ საქმე ისე ვერ მიდის, როგორც სასურველია, მაგრამ, იცით რაედენი დამაბრკოლებელი მიზეზები ელაბება წინ? რომ მოზრძანებულთაგანით ამხანაგობის წლიურ კრებაზე, უქველათ გაიგებდათ ამ მიზეზებსაც.

თქვენ ამხანაგობის წევრათ თთელებით, და წესდების ძალით უფლება გაქეთ მოზრძანდეთ გამგეობაში, მოთხოვით მას ყოველგვარი ცნობები და იგი ვალდებულია თქვენი მოთხოვნილება, როგორც წერიას, დააკმაყოფილოს.

გამგეობის წევრი თ. მთავრიაშვილი

საქვე ღმოქმედ რ საქმე.



ნო რედაქტორო! უმოძრწილესთ გთხოვთ ნუბა გვიბოძათ თქვენი გაზეუთ „კვალის“ საშუალებით უდრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემო აღნიშნულ ზიწთ, რომელთაც შემოსწირეს ჭიათურის ბაბლიოთეკა-სამკითხველს სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

სის შემომწირველთ: ბ. ანგო დეკუვას, (II ცალი ქართული წიგნი) ქ-ნ სემა თუხარულს, დეკ. დავით დამასშიძეს (41 ცალი სამღეთო რეფულის წიგნი, და აღუთქვა უფასოთ გამოგზავნა გაზ. „მწყემის“ და „Пастух“-ის), თ. სუსკვიამეს, ვ. გ. ზათაშვილს, ივ. როსტომაშვილს, (ამან უფასოთ დაუთმო ამ 1896 წლის თავისი გამოცემები.), ზარონ კინ ზზუტგს, ტრიფონ ვაფარშიძეს, ილია მადლავკიძეს, ნიკიფორე კვიციანიძეს, კოტე მდივანს, რომელთაც განაცხადს სურვილი ჭიათურის ბაბლიოთეკის წევრთა შორის ჩარცხვისა და სწევრთა ფუჯივ რამდენიმე თვისა წინდწინ შემოიტანა.

სამკითხველს კომიტეტი: ერ. კოწმარაშვილი, გარზე მოღებამე, ფილ. დარჩია.



ქ-ნო რედაქტორო! უძირხილესთ გთხოვთ უგუ-  
ლითადესი მადლობა გამოგუცხადოთ თქვენი გაზეთ  
„კვანის“ საშუალებით „წინაგულთა შორის წყნ-კით-  
სვის გამაგრებელელ საზოგადოებას“, რომელმაც კითხილ  
ინებს და შემწეობა აღმოუჩინა ს. ქაჭუთის დამწვარ  
სამრეგლო სკოლას შენობის აღსადგენათ, ფუჯათ ორ-  
მოცდა ათი მანეთი.

იმედია წყნ-კითხვის საზოგადოების გულმტკივ-  
ნელობას ჩვენი სამრეგლო სკოლისადმი მიზნადკენ სხვე-  
ბიდ და მოგაწოდებენ თავიანთ წვლილს შეძლებისა და-  
გვარით.

ს. ქაჭუთის სამრეგლო სკოლის სამწრუნველს წე-  
კვი დომენტი შავიშვილი.

ქ-ნო რედაქტორო! უძირხილესთ გთხოვთ ნება  
გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთ „კვან-  
ლის“ საშუალებით უგულისითადესი მადლობა გამოგუცხადო-  
დოთ ქ-ნს ნინო ყიფიანისას, რომელმაც 50 (ოცმოც-  
და-ათი) მანეთით დასმარება აღმოუჩინა. ზემოხსენებუ-  
ლი ფული 30 მარტს ყოფილა გამოგზავნილი, მაგრამ  
აღრესის უცოდინანობის გამო ფოსტამ თავის დროზე  
ვერ ჩაგვანა, ამისათვის სწული იმედი გვაქვს, რომ  
ქ-ნი ნინო ყიფიანისა გვანტივებს ამ გვარს უუურადდე-  
ლობას, მით უმეტეს რომ ფული ჩაგვანდა მხოლოდ  
სექტემბრის უკანსკვლ რიცხვებში.

სტუდენტები: გ. ქურდევანიძე.  
ვ. მოსეშვილი.  
ვ. მასვილაძე.

ქ-ნო რედაქტორო! უძირხილესთ გთხოვთ ნება  
გვიბოძოთ თქვენი პატივცემული შურსად „კვანის“ სა-  
შუალებით ჩვენი გულისითადი მადლობა გამოგუცხადოთ  
ბ-თომში იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც შემწეობა  
აღმოუჩინეს ჩვენ ბიერ განზრახვულ მომავალ სამკითხვე-  
ლს ს. ჯურჯუყეთში. სია შემომწინველთა: 5 მანათი:  
ლ. ლლონტა, ლ. სარჯველაძემ. 3 მანეთი: მურ. საბას-  
ტარსვილაძე, გ. შანშიძემ. 2 მანეთი: ექ. ბერძინიშვილ-  
მა, ი. ლომინაძემ და ე. ბერძინიშვილმა, მ ურუშაძემ,  
რ. კვანცაძემ. 1 მანეთი: ნ. ტყეცლაძემ, ტარ. გოგობე-  
რიძემ, აბს. კანდელაკმა, იულ. დუმბაძემ, გარ. ჟოჟიკა-  
შვილმა, ფ. ილიძემ, იოს. კვანდაძემ, სარ. მარბა-  
შიამ, აშმ. კვანტარაძემ, ზლ. ფაღვამ, თ. ანჯაფარი-  
ძემ, თ. დარჩიამ. 50 კან.: მიშა დავიდიშვილმა, მეშედ

აბ-შიძემ, თ. კარანაძემ, ალ. ჩაგვანამ, ლ. უკანამ, ზურ.  
გალობლიშვილმა. 40 კან.: გ. სილაძემ, ა. კარტოხიამ,  
დიო. მენაბდე, ერმ. სანაძემ. 30 კ.: სიმ. კვანდაძემ.  
20 კ.: გ. ბუნუკუშმა. სულ 41 მან. 10 კ.

დომ. გიგინეიშვილი.  
მოსე გიგინეიშვილი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წკეთლისა.

# განცხადება

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 4 დეკემბერს 1896 წ.

ბუნევისი ნ. გაბუნია-ცაგარლისა.

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ  
წარმოადგენილი იქნება:

## I

# ორი ობოლი

დრამა 5 მოქ., თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა,  
აგლოშვილისა, კარგარელისა, ივანიძე, საყვარელიძე  
და სხვ. ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამ-  
ყრელიძე, შათირიშვილი, მარჯანიშვილი, კანდელა-  
კი, თამაზოვი და სხვა.

აღვილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათში

რეჟისორი. ვ. ს. ალექსიკო-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი ვ. შათირიშვილი.

# ექიმი ვ. ი. ბაღრიძე

მიიღებს ავთომყოფებს შუადღის 12 საათიდან  
3 სათამდე. კირაზის ქუჩა სიმონოვის შესახვევში  
სახლი არაქელოვისა.



# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА „НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“

на 1897 годъ.

(четырнадцатый годъ изданія).

У С Л О В І Я П О Д П И С К И

съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ 10 р. — к.	На 2 мѣсяца. 2 р. 75 к.
„ 6 „ „ 6 „ — „	„ 1 „ „ 1 „ 50 „
„ 3 „ „ 3 „ 50 „	

Зарраницу на годъ 17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца 5 р.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца.

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., въ 1-му марта—2 р., въ 1-му мая—3 р. и въ 1-му сентября—2 р.

Лица, подписавшіяся теперь на будущій годъ, получаютъ газету бесплатно въ текущемъ году со дня подписки.

Подписка принимается: въ Тифлисъ—въ редакціи „Нов. Обоз.“, Барятинская ул. № 8; въ Батумъ—въ типографіи „Ароръ“; въ Батумъ—въ нижнемъ агентствѣ М. И. Николадзе; въ Кутаисъ—въ книжныхъ магазинахъ Чиладзе и Бежанейшвили.

## ОТЪ РЕДАКЦІИ.

Открывая подписку на будущій годъ, редакція „Нов. Обоз.“ считаетъ нелишнимъ заявить, что всѣ сотрудники (за немногими исключ.), которые принимали участіе въ нашей газетѣ до сихъ поръ, примутъ участіе въ ней и въ будущемъ году. Кроме того, намъ обѣщали сотрудничество нѣкоторые Петербургскіе литераторы: Д. Н. Маминъ, М. А. Протопоповъ (хритикъ), В. Вересневъ (сотрудникъ „Русскаго Богатства“) и др. Нашъ лондонскій корреспондентъ Л.—вичъ, временно прекратившій участіе въ „Нов. Обоз.“, въ скоромъ времени возобновитъ печатаніе у насъ своихъ политическихъ писемъ. Печатаніе специальныхъ телеграммъ изъ Петербурга и отчасти изъ главнейшихъ центровъ Закавказья будетъ продолжаться круглый годъ.

Но улучшеніе литературнаго и политическаго отдѣловъ нашей газеты не отвлечетъ насъ отъ главнѣйшей нашей задачи—отъ обсужденія мѣстныхъ, кавказскихъ вопросовъ, состоящихъ на очереди, и отъ сообщенія возможно полныхъ свѣдѣній о событіяхъ мѣстной жизни. Мы заручились постоянными корреспондентами не только въ главныхъ городахъ Кавказскаго края, но и въ нѣкоторыхъ второстепенныхъ его пунктахъ. Многое зависитъ въ данномъ случаѣ, конечно, отъ содѣяствія мѣстныхъ дѣятелей, голосъ которыхъ мы будемъ продолжать выслушивать съ особеннымъ вниманіемъ. Пользуясь ихъ сочувствіемъ, мы съ своей стороны ни минуты не будемъ забывать, что газета должна совершенствоваться съ каждымъ днемъ; мы будемъ стремиться къ тому, чтобы читающая публика получала возможно болѣе матеріала, обработаннаго и правдиво освѣщеннаго, при чемъ никогда не перестанемъ руководствоваться той основною точкою зрѣнія, которая лежѣла для всякаго, что внимательно слѣдитъ за нашей газетой.

# ივერია

გამოვა 1897 წელსაც

იმავე პროზორებით, რომელიც წინათ.

გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდან, უკვე დღე, კარდა იმ დღეების, რომელიც ზედ მოსდევს კვირეულებს.

ფასი გაზეთისა:

11	რუბ. და 13 დ.	9	მ. 60	6	თვით . . . . .	6	მ. — კ.
11	„ . . . . .	9	„ 50	5	„ . . . . .	5	„ 50
10	„ . . . . .	8	„ 75	4	„ . . . . .	4	„ 75
9	„ . . . . .	8	„ —	3	„ . . . . .	3	„ 50
8	„ . . . . .	7	„ 25	2	„ . . . . .	2	„ 75
7	„ . . . . .	6	„ 50	1	„ . . . . .	1	„ 50

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ელირება 17 მ.

თბილისს კარეთ შესრულებულ უნდა დაიბაროს გაზეთი შემდეგის ადრესით:

## ТИФЛИСЬ. Редакція „ИВЕРІА“.

თფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციის, ნიკოლოზის ქუჩა № 21. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართველთა ვაჭარ-სწავლთა კანცელარიაში.

თუ თბილისში დაბარებული გაზეთი თბილისს გარეშე აღრესებე შეცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში 1 მ. ხოლო თუ ქალაქ გარეთიდან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარეშე უნდა წარმოგზავნოს 40 კ.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდან, რომელსაც დაიბარებულა აღნიშნულს.

## 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოთ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელი წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი—3 მ. და 33 კაპ. (კაპიციტების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს იმას მიუთვა გაზეთი შეიღის თვისა და ცაშეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდან.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რომდღენსამე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდან.

სარედაქციო მუშაობა 15 დეკემბრიდან დაიწყება



### კარგო საავთმყოფო ავგულატორიითურთ მამი. ს. ვ. თოფურია. მ. შუთისში.

საავთმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხი-  
რურგიულ, გინეკოლოგიურ, შინაგან სენით და  
თვალებით ავთმყოფთათვის. გადაძღვები სე-  
ნით ავთმყოფნი არ მიიღებინ. მოსიარულე ავთ-  
მყოფნი მიიღებინ ყოველ დღე 11 საათიდან შუა-  
ღღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფებს მიიღებს:  
ქ. ს. ვ. თოფურია.

ხირურგიული, შარდით და ათაშანვით ქ. ფ. ჯ.  
ბერბატი.

დედაკაცურ ავთმყოფთ და საბებიოს ქალი —  
ქ. ი. მ. ფ. გვანია.

თვალებით ავთმყოფებს — ექიმი ი. ჯ. ვაჭაშვილი.  
ამბულატორიასთან არის ქიმიური და ბაქტერიო-  
ლოგიური კაბინეტი. იქვე შეიძლება წამლობა ელექ-  
ტრონული ძალით და მასაჟით.

საავთმყოფოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.

(10 — 7)

## კანსერი და გლუგოსპი

თბილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯვეის სახლი  
(ეზოში).

ასლთ გაღებული ქანსის საწყობი

### საპერაპი მაშინები



ნამდვილი

ზინგერ - ნათმანისა

და სსკ გამოჩენილი სისტემის მანქანები: ოჯახებისა-  
თვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქანსისაა.

(25 — 3)

### „კალმოსავლეის“ მაღაზია

პატივი მაქვს ვთქვა საზოგადოებას, რომ მე  
გაეღე „კალმოსავლეის“ მაღაზია, რომელიც განსაკუ-  
თრებით ეკატერინს ვაჭაშვილის, იანოზის და საზოგადო  
კალმოსავლეის საკუთრებად დაძღვებულ ნაწარმებით,  
თბილისში ლორის-მელიქოვის ქუჩა სემინარიის პარ-  
დაზირ № 4.

### საქმისწილი ნასტებიანი ქუჩისწილი

## „ვეფხილი“

ფულისა და შერეული

გამოცემა 1897 წელს თვეში ერთხელ იმხვე პრ-  
გამით, როგორცაც აქამდის.

ქუჩისწილი მონაწილეობის მიღება ალგეითქვეს  
ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ქუჩისწილი „ვეფხილი“ თბილისში დატარებით  
ლირს — 4 მან, ტფილისის გარეშე გაგზავნილ 15 მან.  
ცალკე ნომრის ფასი თბილისში არის 50 კაპ.  
ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნა-  
ხევარ წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

- 1) თბილისში — წერა-კითხვის საზოგადოების  
კანცლარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка  
№ 10), ქართულ სახალხო სამკითხველოში (დ. Зем.  
банка № 32) და თვით „ვეფხილის“ რედაქციაში (Ар-  
тиллер. ул. д. Тамашева, вост. кадетского  
корпуса).

2) შუთისში — 3. ბეჟანეიშვილთან, და თ.  
მთაერეშვილთან.

3) გორში — ბ. კვანდაძესთან.

4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) თელავში — მ. ცისკარაშვილის ავთიკაქში.

6) საჩხერაში — შარაშან ჩხეიძესთან.

7) ელისაშვიტოვსკოლში. ა. მ. ქაბერიძესთან.

8) თიონეთში — ი. შიბლაიშვილთან.

9) შვირილაში — არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

10) მიხაძე (ოქსა) — ი. ფანცულაიასთან.

ფოსტის ადრესი: *Во Тифлисе во редакцию ар-  
мянского детского журнала „Ведущий“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თქანაშვილი-წვეთიანი